პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—48.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—3 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

ს. ს. ს. რ. [illegible] კომისართა საბჭოს
[illegible]

დღის [illegible]

— პოლონელი ჯაშუში უსასი ლენინგრადში გადაგზავნეს.

— ლონდონში ჩავიდა საბჭოთა [illegible] დელეგაცია.

— ვესტფალიაში (გერმანია) [illegible] გზელი.

— საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არჩევნებში გერმანიის სამრეწველო რაიონებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს.

— ვილჰელმსჰაფენში (გერმანია) აფეთქდა ნაღმოსანი.

შაბათი, 4 აპრილი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 76 (1231)

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანები

ამჟამად მიმდინარეობს წარმოკავშირის რწმუნებულთა მესამე ყრილობა. წარმოკავშირი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაერთიანებას წარმოადგენს.

ჩვენ დღეს არ ვაპირობთ ყრილობის შედეგების ამომწურავ აღნუსხვა-შეფასებას, მით უმეტეს, რომ იგი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება მიმდინარე ყრილობასთან დაკავშირებით ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეხლანდელი მდგომარეობის და მის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კოოპერაცია, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის ერთერთი მთავარი ძალა, რომელმაც გლეხურ ქვეყანაში (როგორიცაა ჩვენი ქვეყანა) თანდათანობით უნდა განახორციელოს სოციალიზმი. მთელი გლეხობის შეკავშირება კოლექტიური სამეურნეო მოქმედების საფუძველზე—აი მისი მიზანი.

გლეხები დღეს ერთიანდებიან კოოპერატიულად არა იმიტომ, რომ ისინი განთავისუფლდნენ კერძო მესაკუთრეობითი პსიქოლოგიიდან, არამედ ერთიანდებიან როგორც კერძო მესაკუთრენი და იმდენად, რამდენადაც კოოპერაცია არა ცალიერი სიტყვით, არამედ ცოცხალი საქმით, დაამტკიცებს თავის უპირატესობას და სარგებლიანობას თვითეული გლეხის განცალკევებული სამეურნეო საქმიანობის წინაშე, სწორედ თვითეული გლეხის ნივთიერი ინტერესების თვალსაზრისით.

მაგრამ კოოპერატიული მუშაობის პროცესში თანდათან სუსტდება გლეხის მესაკუთრეობითი მიდრეკილებანი და ასევე ძლიერდება კოლექტივისტური სულიერი განწყობილება.

გლეხობა ჯერ კოოპერატიულად აერთიანებს მეურნეობის ცალკე დარგებს. კოოპერაცია თავდაპირველად იწყება უმეტესად გასაღების და შესყიდვის საქმის საერთო ორგანიზაციით. რაც დრო გადის, იგი ფართოვდება, ვრცელდება ახალ-ახალ დარგებზე, ბოლოს უნდა გათავდეს მთელი საწარმოო საშუალებათა და იარაღების, მთელი მეურნეობის და სამეურნეო მოღვაწეობის სრული განსაზოგადოებით, ე. ი. სოციალიზმის დამყარებით.

ამ გზის განვლა ერთბაშად არ შეიძლება, ეს მოითხოვს ხანგრძლივ დროს, სისტემატიურ და მეტად ფრთხილ მუშაობას, სამაგიეროდ იგი საიმედო გზაა მიზნის მისაღწევად, ვიმეორებთ, მშრომელთა დიქტატურის არსებობის პირობებში.

მხოლოდ საჭიროა კოოპერაციის მუშაკებს თავის ყოველდღიურ მუშაობაში ყოველთვის ჰქონდეთ მხედველობაში ეს საბოლოო მიზანი, ამასთან სავსებით გაერკვნენ გლეხობის სურვილებსა და მოთხოვნებში, გლეხურ მეურნეობის თავისებურებასა და საჭიროებებში, ამასთან დღევანდელი ბაზრის პირობებში.

პირველ ყოვლისა აუცილებელია თვით მეურნე გლეხს მიეცეს თვითმოქმედების უფართოესი გასაქანი კოოპერაციაში. ჩვენ არას ვამბობთ იმაზე, რომ კოოპერაციის წევრობა უნდა იყოს ნამდვილად ნებაყოფლობითი,—ეს თავისთავად ცხადია. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ თვით გლეხობა იყოს თავისი კოოპერაციის აქტიური მშენებელი და მისი გამძღოლი. იგი უნდა თამაშობდეს გადამჭრელ როლს კოოპერატიულ ორგანოებში. არავითარ ზედმოქმედებას, გარეშე პირების მოხვევას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება მოხდეს გლეხობის ნამდვილი,—და არა მოჩვენებითი და მექანიკური,—კოოპერატიული გაერთიანება.

ამ მხრივ ვადაჭრილი ნაბიჯებია ჩვენში გადადგმული. ამას მოწმობს წარმოკავშირის ყრილობაც, რომლის შემადგენლობის საგრძნობ პროცენტს სწორედ გლეხები შეადგენენ: მათ თავისუფლად გადაგვიშალეს დღევანდელი სოფლის ჭირვარამი და აღნიშნეს ჩვენი კოოპერატიული პრაქტიკის ნაკლოვანებანი.

ამ მიმართულებით, ე. ი. კოოპერაციაში გლეხობის უფრო აქტიურად და ფართოდ ჩაბმის მიმართულებით, აწი გაცილებით უფრო მეტია გასაკეთებელი.

აღსანიშნავია, რომ ა. წ. 1 მარტისათვის წარმოკავშირში გაერთიანებული იყო გლეხობის მხოლოდ 9,9 პროც. ეს ძალიან ცოტაა, რა თქმა უნდა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არსებობენ თითქმის მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ასეთებს იშვიათად თუ სადმე შევხვდებით. ამის მოთხოვნილება კი იქაც დიდია.

წარმოკავშირი, როგორც ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, სულ რაღაც ორი წელიწადია რაც არსებობს. ეს გარემოება და მთელი რიგი ორგანიზაციული, ფინანსიური და სხვა ხასიათის დაბრკოლებანი ხელს უშლიდენ წარმოკავშირს ფართოდ გაეშალა თავისი მოქმედება და შეეკავშირებია გლეხობის უფრო მეტი რიცხვი.

მომავალში ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებით მოიფინოს ყველა რაიონები, სადაც ამის საჭიროება არის.

ამისათვის აუცილებელია, სათანადო საორგანიზაციო მუშაობის ჩატარება, უმთავრესად კი გლეხობასთან უფრო ახლოს მისვლა. ამ მხრივ, როგორც ყრილობაზე გამოირკვა, ყველაფერი რიგზე არ არის. აღნიშნავდენ, რომ ინსტრუქტორები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას, ვერ უახლოვდებიან ჩვენი გლეხის მეურნეობას, ვერ იკვლევენ გლეხის საჭიროებას და ტკივილებს და სხ.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ნაკლებათ შეუწყობს ხელს გლეხობის ჩაბმას კოოპერაციაში და გლეხური მეურნეობის აღორძინებას.

მაგრამ არა მარტო ეს ნაკლი იქნა აღნიშნული წარმოკავშირის მუშაობაში, მაგ., ყოფილა შემთხვევები, როცა კოოპერატივების საწყობებში გაფუჭებულა დიდძალი საქონელი (ხილი, ბოსტნეული, კვერცხი, თამბაქო და სხ.). გლეხები ამისათვის სამაგიეროს მიიღებენ, მაგრამ საკვირველია, რომ იმ პირებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ სახალხო ქონების მოვლა-პატრონობა, ვერ შესძლეს თავის მოვალეობის შესრულება. აქ ჩვენ გვაქვს საქმე როგორც გამოუცდელობასთან, ისე დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობასთან. ასეთ პირებს ჩვენ კოოპერაციის ახლოს ვერ გავაკარებთ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ხალხის ქონების მოვლა.

აგრეთვე გამოირკვა, რომ წარმოკავშირი დიდ პროცენტებს ადებდა გლეხობისათვის მისაწოდებელ საქონელზე, რაც აძვირებდა უკანასკნელს; დიდი იყო ზედნადები ხარჯები ღვინოზეც.

ეს მოწმობს, რომ არ არის მოწესრიგებული წარმოკავშირის სავაჭრო აპარატი და თვით მისი შტატიც საკმაოდ გაბერილია.

თუ ეს არ გამოსწორდა, კერძო ვაჭრობის კონკურენციას ვერ გაუძლებთ და გლეხობის მდგომარეობას ვერ გავაუმჯობესებთ.

მთავარი ნაკლი წარმოკავშირის მოქმედებაში ის არის, რომ სუსტი იყო მისი საწარმოო მუშაობა. იგი უმთავრესად აწარმოებდა შესყიდვა-გასაღების ოპერაციებს. ეს მეტად საჭიროა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია გლეხობისათვის აგრიკულტურული დახმარება, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის შეტანა სოფელში, აგრონომიული ცოდნის გავრცელება, ხელის შეწყობა მაღალი კულტურის განვითარებისათვის და ამ ნიადაგზე გლეხობის კოოპერატიული დარაზმვა. წარმოკავშირის პირდაპირ დანიშნულებას სწორედ ეს შეადგენს. ყველა ამას შემდეგში უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

ნაყოფიერი კოოპერატიული მუშაობისათვის, აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კოოპერატიული სახის (სასოფლო-სამეურნეო, მომხმარებელი, საკრედიტო) ურთიერთ დამოკიდებულების საბოლოო ჩამოყალიბებას. ამ მხრივ არსებობს გარკვეული დადგენილებები. მაგრამ სინამდვილეში ეს არა სავსებით და არაა ყველგან ტარდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს პარალელიზმი და ქიშპობა. კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ბანკმა შეღავათიანი პირობები უნდა შექმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის კრედიტის მიცემის საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დღეს სამართლიანადაა გადაქცეული განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად. ის მოწოდებულია სოფლად სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების ჩასაყრელად და განსამტკიცებლად. მას ევალება გლეხური მეურნეობის დაკავშირება ქალაქის მრეწველობასთან. მას დაკისრებული აქვს გლეხობის მეურნეობის აღორძინება და მისი თანდათან განსაზოგადოება.

პარტია, ხელისუფლება არაფერს ზოგავენ, რათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დააყენონ განვითარების მკვიდრ გზაზე.

გლეხობაც მოწყურებულია კოოპერატიულ გაერთიანებას.

ასეთ პირობებში ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია შესძლებს ფრთების გაშლას და თავისი ამოცანების განხორციელებას.

სამეურნეო პერსპექტივები და სავაჭრო კაპიტალის პრობლემა

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი. 3 აპრ. „პრავდა" წერილში „სამეურნეო პერსპექტივები და სავაჭრო კაპიტალის პრობლემა" სწერს:

„ძირითადი დარგები, რომლებიც მასიური მოხმარების ბაზრისთვის მუშაობენ, სწრაფათ და განუწყვეტლივ აფართოვებენ წარმოებას, რაც საშუალებას იძლევა გადიდებულ იქნეს ბაზარზე გამოსატანი საქონლის რაოდენობა. რაც შეეხება სოფლის მოთხოვნილებას მასიური მოხმარების პროდუქტებზე და საგნებზე, ამ მხრივ ჩვენ ეხლა ვამჩნევთ ერთგვარ თავშეკავებულობას. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მოსავალი იქნება, არსებული მიღწევები კი ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.

გაცილებით უარეს მდგომარეობაშია სავაჭრო კაპიტალი და სავაჭრო აპარატი. ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ძირითადი წინააღმდეგობაა შეუთანაბრობა, ერთის მხრივ, ჩვენი მრეწველობის გაფართოებულ პროდუქციასა და, მეორეს მხრივ, თითქმის 80 პროც. აღდგენილ სოფლის მეურნეობასა და მეორე მხრივ შედარებით მცირე სავაჭრო კაპიტალს შორის. სავაჭრო კაპიტალი ამ ჟამათ ისე მცირეა, რომ მას არ შეუძლია საქონლის სწრაფათ მიწოდება მომხმარებლებისათვის. მომავალში, როდესაც ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო განვითარდება, ეს დაბრკოლებები თანდათან გაიზარდება, თუ მიღებული არ იქნა ზომები სავაჭრო კაპიტალის გასადიდებლათ. ამიტომ ამჟამათ ერთერთი ძირითადი პრობლემაა სავაჭრო კაპიტალის გადიდება და მისი შეფარდება ბაზრის მოთხოვნილებებთან.

ჩვენი საქონლის-გამტარებელი ჯაჭვის ძირითადი რგოლია კოოპერაცია. მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციას მისი ეხლანდელი სახით შეუძლია გაატაროს სამომხმარებლო საქონლის მხოლოდ 30 პროც., ის დაახლოვებით ემსახურება სოფლის მოსახლეობის 25 პროც. და ქალაქის მოსახლეობის 30 პროც. თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება სამომხმარებლო კოოპერაციას შეუძლია, უპირველეს ყოვლისა, საპაიო გადასახადების გადიდების და თავის მუშაობაში მოსახლეობის ანაბარების ჩაბმის ხარჯზე. მაგრამ სახელმწიფოს დახმარების გარეშე კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება ისე, რომ ის უკან არ ჩამორჩეს საერთო ეკონომიურ განვითარებას და დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნილებები, რომლებსაც კოოპერაციას უყენებენ. თანახმათ საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის დადგენილებისა, კოოპერაციას მიეცა 10 მილ. მანეთი.

სავაჭრო კაპიტალის გადიდება შეიძლება მოხდეს აგრეთვე სამეურნეო აღმშენებლობაში კერძო სავაჭრო კაპიტალის ჩაბმის ხარჯზეც.

დაბოლოს, ჩვენმა სახელმწიფო მრეწველობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თვისი სავაჭრო კაპიტალის განმტკიცებას და გაფართოვებას.

საერთოდ, ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს საკითხს სავაჭრო კაპიტალის დაგროვების შესახებ. ეს დაგროვება უნდა მოხდეს საქონლის გაცვლა-გამოცვლის გაფართოვების ხარჯზე, მოსახლეობის სამომხმარებლო საჭიროებების უფრო ფართოთ დაკმაყოფილების ხარჯზე".

დიდი საქმე

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში აქ შესდგა ვოლგა-დონის შემაერთებელ არხის მომწყობ კომიტეტის გაფართოებული კრება. ეს კითხვა იმდენად მრავალმნიშვნელოვანია, რომ ზედმეტი არ იქნება მაზე „კომუნისტის" მკითხველის ყურადღების შეჩერება. მით უმეტეს, მას დამოკიდებულება აქვს შავი ზღვის პირად მდებარე ჩვენი ქვეყნის მეურნეობასთანაც.

ვოლგა-დონის შეერთებას შეუძლია საგრძნობლათ შეატრიალოს საბჭოთა კავშირის ეკონომიკა. ეს ადვილი გასაგებია, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში იმ არსებითი ნაკლს, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთის უდიდეს მდინარის, ვოლგის, როგორც სატრანსპორტო საშუალების, ექსპლოატაციაში.

ეს მდინარე აერთიანებს 40 მილიონ მცხოვრებს. მის რაიონში მოქცეულია პურის, ხე-ტყის, მადნეულობის და სხვა ბუნებრივ სიმდიდრის რაიონები. მაშინ, როდესაც ზღვის ტრანსპორტი ხმელეთისაზე იაფი ჯდება და ისეთ დიდ მდინარეს, როგორიც ვოლგაა, შეუძლია დიდი სარგებლობა მოიტანოს, ყველა მისი დადებითი მხარეები ჰკარგავს ფასს, რადგან ვოლგა ერთვის ისეთ ზღვას, ანუ უკეთ ტბას, საიდანაც გარეშე ბაზარზე წყლით გასვლა, გარდა სპარსეთისა, შეუძლებელი ხდება.

ამით აიხსნება, რომ ვოლგის რაიონში მოყვანილი პური, ხე-ტყე და სხვა საექსპორტო საქონელი, იძულებულია გზა-მოვლით გაემართოს უცხოეთის ბაზარზე, როგორც, ლენინგრადის ნავთსადგურიდან, ან და ხმელეთით შავი ზღვის ნაპირებისაკენ.

ცხადია, საქონლის ფრახტის ასეთი სიძნელე ზედმეტ ხარჯათ აწვება საექსპორტო საგნებს და საგრძნობლათ აფერხებს ჩვენს საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

სულ სხვა მდგომარეობა იქნება ვოლგა-დონის არხის გაყვანის შემდეგ. ამ ორი მდინარის [illegible] ძირ-ბუდიანათ შესცვლის ევროპიულ რუსეთის მდინარეთა მთელ სისტემას და შესაძლებლობის დიდ ასპარეზს შექმნის. არხის გაყვანა განზრახულია ცარიცინსა და კალაჩის შუა, ასი ვერსის მანძილზე.

აქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ არხს სოფლის მეურნეობის აღორძინებაში, განსაკუთრებით იმ რაიონებისათვის, სადაც ის გაივლის.

მთავარი ისაა, რომ ვოლგა-დონის არხის გაყვანით იქმნება მთლიანი წყლის ქსელი ლენინგრადის, არხანგელსკის, ურალის, პერმის, თურქესტანის, კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირების და დონის მადაროების. ანუ, სხვანაირათ რომ ვთქვათ, ახალი ასვერსიანი არხის საშუალებით მთელი ევროპიული რუსეთი, დასავლეთი ციმბირი, თურქესტანი და კასპიის ზღვის პირას მდებარე კავკასია თავს იყრის ერთ, მთლიან სატრანსპორტო წყლის სისტემის გარშემო და, რაც კიდევ აღსანიშნავია, ამ დაუშრეტელ და მრავალფეროვან სიმდიდრის მიდამოებს, გზა ეხსნება შავი ზღვის საშუალებით დასავლეთ ევროპის და ხმელთა შუა ზღვის ნავთსადგურებისაკენ.

ეს კიდევ ცოტაა. ურალის მადანის და დონის ქვანახშირის ერთმანეთთან იაფი და პირდაპირი გზით დაკავშირება საუკეთესო პირობებს შექმნის საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, ვოლგა-დონის არხს, იმ პირობებში, რომელშიაც უხდება ჩვენს რესპუბლიკებს არსებობა და განვითარება, როცა შეიარაღებულ კონფლიქტის საშიშროება კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან თავიდან აცილებული არაა, შეუძლია ითამაშოს დიდი სტრატეგიული როლი, როგორც ჯარის, აგრეთვე საზღვაო ფლოტის გადანაცვლება-გადმონაცვლებაში.

ვოლგა-დონის არხი გააერთიანებს ოთხ ზღვას, რომელიც საბჭოთა კავშირის საზღვრებშია მოქცეული. ეს ზღვებია კასპიის, შავი, ბალტიის და თეთრი ზღვა.

ამ არხის საკითხით მეტად დაინტერესებული იყო ამხ. ლენინიც. ჯერ კიდევ 1918 წელში გაზაფხულზე, მისი შთაგონებით და გავლენით გადასდო სახალხო კომისართა საბჭომ 14 მილიონი მანეთი ვოლგა-დონის არხის გაყვანის დასაწყებათ.

მაგრამ მალე ამის შემდეგ ეს რაიონი სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია და საკითხი თავისთავად მოიხსნა დღის წესრიგიდან.

ამჟამად, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად, ვოლგა-დონის არხის კითხვა კვლავ ისმება ჩვენს წინაშე.

წინასწარი ვარაუდით მთელი ეს საქმე დაუჯდება სახელმწიფოს 125 მილ. მანეთი. არხის გაყვანა შეიძლება დასრულებულ იქნეს 4—5 წელში.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის კოლექტიური მარჯვენა, რომელიც, მიუხედავათ თავისი [illegible] ჯიბისა, აშენებს „ვოლხოვსტროის" და „ზაჰესის" სადგურებს, არ შეუშინდება ვოლგა-დონის არხის ხარჯებს და ამ გზით, სოციალისტურ აღმშენებლობის მნიშვნელოვან ამოცანას რეალურ ფაქტათ აქცევს.

აკ. მუთნია.

მოსკოვი, 25 მარტი.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

აგრარული საკითხი

ამხ. ბუხარინის მოხსენება

მოსკოვი, 3 აპრილი. 2 აპრილს საღამოს სხდომაზე აგრარულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბუხარინმა.

გლეხთა საკითხის მნიშვნელობა

„ბევრი კომუნისტები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მეორე ხარისხოვნად სთვლიან გლეხთა საკითხს. ასეთი თვალსაზრისი უსათუოდ შემცდარია, ეს არის ტროცკიზმის თვალსაზრისი. დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს სამი გადამწყვეტი სოციალური ძალა: მსხვილი მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია, პროლეტარიატი და გლეხობა. გლეხობა თამაშობს გადამწყვეტ როლს კლასთა ძალთა განწყობილებაში.

უნდა ითქვას, რომ ყველაზე უფრო სამრეწველო ქვეყნებში კომპარტია არ სარგებლობს თითქმის არავითარი გავლენით გლეხობაზე. ბურჟუაზიამ ვერ შეიგნო გლეხობის მნიშვნელობა. **დღევანდელი ხანა გასიათდება ბრძოლით ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის გლეხობისათვის.** ბურჟუაზიას დასავლეთში კომუნისტებზე უკეთ ესმის და ატარებს გლეხობასთან ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, რათა თავის მხარეზე გადაიყვანოს იგი. ბურჟუაზია ატარებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკას შეგნებულად, რასაც ამტკიცებს აგრარული რეფორმები. მართალია ეს რეფორმები უმნიშვნელოა და იგი მოხდა გლეხობის ზეგავლენით, მაგრამ ამ რეფორმებმა მაინც წარმოშვეს გლეხობაში ერთგვარი ილიუზიები. ბურჟუაზია აწყობს სასოფლო-სამეურნეო კრედიტს გლეხთა კოოპერატივების საშუალებით, რომლებიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული ბანკებთან.

ბურჟუაზია მიმართავს ყოველგვარ საშუალებას, რათა დაიპყროს გლეხობა.

რა არის საჭირო

ტროცკიზმის მთავარი შეცდომაა—გლეხთა საკითხის ნაკლებად შეფასება.

ბევრ კომპარტიების პრაქტიკული მოღვაწეობა ამ მიმართულებით არ შეიძლება ჩაითვალოს ლენინურად. გლეხობას შორის მუშაობის არასაკმარისად შეფასება აიხსნება სამრეწველო ქვეყნების მუშათა ცეხური იდეოლოგიით. საჭიროა ამ იდეოლოგიის დაძლევა. პროლეტარიატის დიქტატურის დაცემის მთავარ მიზეზს ჰუნგრეთში წარმოადგენდა აბსოლიუტურად შემცდარი პოლიტიკა გლეხთა საკითხში, მსხვილ მიწადმფლობელობაზე უარის თქმა.

ბევრმა კომპარტიებმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს, რომ გლეხობისადმი მიდგომა საჭიროა კონკრეტული მოთხოვნილებათა წამოყენებით. ყველა გლეხთა ორგანიზაციების მთავარ მოთხოვნილებას წარმოადგენს გადასახადების საკითხი. საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკას და **ამიტომ საჭიროა მისი გამოყენება, რათა გამოვიწვიოთ კონფლიქტი გლეხობასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შორის და რათა გავაერთიანოთ მუშები და გლეხები.**

გლეხთა მასების დაუპყრობლად გამარჯვება შეუძლებელია. სათანადო აგრარულ პოლიტიკის გარეშე წარმოუდგენელია ნამდვილი ბოლშევიზაცია.

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

მოსკოვი. 3 აპრილი. კომინტერნის აღმასკომის იმავე სხდომაზე გაიმართა კამათი ბუხარინის მოხსენების გამო.

ბოშკოვიჩი დაწვრილებით ახასიათებს გლეხთა ორგანიზაციებს ბალკანეთში და აღნიშნავს, რომ გლეხთა მასები მხარს უჭერენ მემარცხენე ფრთას გლეხთა მოძრაობაში.

ბელაკუნი სამართლიანად სთვლის ბუხარინის მიერ ჰუნგრეთის პროლეტარულ დიქტატურის გლეხურ პოლიტიკის გაკრიტიკებას. საბჭოთა ჰუნგრეთის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა პარტიის მიერ გლეხობის როლის არასწორად გაგება. ჰუნგრეთის საბჭოთა ხელისუფლებამ მსხვილი მიწათმფლობელობა გადააქცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოვო ამხანაგობად და ამის გამო, სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატმა ვერ გაიგო გადატრიალება. ჰუნგრეთის წითელი არმიის ჯარისკაცები მოითხოვდენ მიწების დაყოფას. ორატორი დარწმუნებულია, რომ ჰუნგრეთში თუ საბჭოთა ხელისუფლება დარჩებოდა, იგი იძულებული იქნებოდა მოეხდინა ძალების განაწილება.

ვარგა—აცხადებს, რომ ის არ ეთანხმება ბუხარინის აზრს იმის შესახებ, რომ საჭირო არის გლეხთა პოლიტიკურ პარტიების შექმნა. ორატორი მხარს უჭერს სწორედ გლეხთა პარტიების შექმნას კომუნისტების ხელმძღვანელობით.

ამერიკის წარმომადგენელი **პაუერსი** აღნიშნავს, რომ ამერიკა წარმოადგენს არა მარტო უდიდეს სამრეწველო, არამედ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას. შარშანდელ აგრარულ კრიზისის სიძლიერე ძნელად წარმოსადგენია. ფერმერების ერთი მეოთხედი სრულებით განადგურდა. დავალიანებულ და გაკოტრებულ ფერმერების პროლეტარიზაცია ჩქარის ტემპით სწარმოებს. კომპარტიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს მუშაობა ფერმერებს შორის.

ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელი **ბუდნარი** აღწერს პრიკარპატის რუსის გლეხთა მცხოვრებლების მძიმე მდგომარეობას, სადაც რამდენიმე მსხვილი მემამულის ხელშია მიწების ორი მესამედი ნაწილი, ხოლო გლეხების ხელში—ერთი მესამედი.

მეშჩერიაკოვი მხარს უჭერს გლეხთა კავშირების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაარსებას.

იტალიის წარმომადგენელი **გრიდო** აღნიშნავს, რომ გლეხთა პარტია „პოპოლიარი" იმყოფება მსხვილ კაპიტალისტების ხელმძღვანელობის ქვეშ. იტალიის სოციალისტურ პარტიას არ ესმოდა აგრარულ საკითხის მნიშვნელობა და მან ვერ შესძლო შეთანხმება ქალაქის მუშების მიერ ფაბრიკების და სასოფლო-სამეურნეო მუშების მიერ მიწების ხელში ჩაგდების საქმე. ფაშიზმმა ვერ მოახერხა აგრარულ საკითხის გადაჭრა. აგრარულ საკითხს იტალიაში გადასჭრის მხოლოდ რევოლიუცია.

პოლონეთის წარმომადგენელი **ბრუნევიჩი** ხაზს უსვამს პოლონეთის გლეხობის მძიმე მდგომარეობას, ეს გლეხობა დატვირთულია მძიმე გადასახადებით, [illegible] აგრარული კრიზისით და მოუსავლობით. რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. განაპირა კუთხეებში ადგილი აქვს გლეხთა აჯანყებებს. პოლონეთის კომპარტიამ თავის უკანასკნელ ყრილობაზე გამოიტანა გადაწყვეტილება გამოასწოროს ყველა წინად დაშვებული შეცდომები გლეხობის მიმართ და დაადგეს სწორ ლენინურ გზას.

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ბუხარინი აღნიშნავს, რომ გლეხთა კავშირები წარმოადგენენ გლეხთა ორგანიზაციის უფრო მიზანშეწონილ ფორმას, ვიდრე პოლიტიკური პარტიები. გლეხთა კავშირების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ახლოს მივიდეთ ფართო მასებთან და დავიპყროთ ისინი უკეთესად, ვიდრე პოლიტიკურ პარტიის საშუალებით.

შემდეგ ის აღნიშნავს, რომ სოფლის დაქირავებულ მუშების გაერთიანებაც აგრეთვე უნდა შევიდეს გლეხთა კავშირებში. ბურჟუაზიამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია გააერთიანოს გლეხობა და სოფლის დაქირავებული მუშები საერთო ორგანიზაციაში. ეს ჩვენც უნდა შევისწავლოთ.

ბუხარინი აღნიშნავს ორ საშიშროებას: პასიური მოპყრობა გლეხთა საკითხისადმი და ვათქვეფა გლეხობაში. არ უნდა დავივიწყოთ პარტიის როლი და პროლეტარიატის გეგემონია.

ამხ. ჩიჩერინის ნოტა პოლონეთის ელჩისადმი

პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო ელჩს და სრულუფლებიან მინისტრს—კენტჟინსკის

მოსკოვი. 1925 წლის 2 აპრილი

საკავშირო მთავრობის დავალებით მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი:

მიმდინარე წლის 26 მარტს პოლონეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ ვეჩორკევიჩი და ბაგინსკი, რომლებიც გასამართლებული იქნენ 1923 წლის ნოემბერში პოლიტიკურ ორგანიზაციის წევრობისათვის გადაცვლილი ყოფილიყვნენ რეევაკუაციისათვის დაარსებულ რუსეთ-პოლონეთის შერეული კომისიაში პოლონეთის დელეგაციის ექსპერტ უსსაზე, რომელსაც ბრალათ ედება ხელქვეით ქალ-მოსამსახურეების სქესობრივათ გახრწნა და წამება, რაც გათვალისწინებულია რ. ს. ფ. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებში და პოლონეთის გენერალურ საელჩოს ყოფილ მდივანზე თბილისში—ლაშკევიჩზე, რომელსაც ბრალათ ედება სისხლის სამართლის კოდექსის მე-66 მუხლში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება. ორივე მხარეები შეთანხმდენ იმაში, რომ პატიმრების ფაქტიური გაცვლა-გამოცვლა უნდა მომხდარიყო 29 მარტს მოსაზღვრე სადგურ კოლოსოვოში, სადაც გაგზავნილი იქნენ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების თანხლებით უსსასი და ლაშკევიჩი, რომლებიც გადაცვლილი უნდა ყოფილიყვნენ საკავშირო მთავრობის მხრიდან.

29 მარტს დღის 4 საათზე სარეპატრიაციო კომისიის პოლონეთის დელეგაციის რწმუნებულმა კრულიკოვსკიმ, რომელიც გაუგებარი მიზეზების გამო აჭიანურებდა გაცვლა-გამოცვლის მოხდენას, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს პლიჩს განუცხადა, რომ გაცვლა-გამოცვლა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხდებაო.

შემდეგ მიღებული ცნობებით, რომლებიც დაადასტურა პოლონეთის პრესამდე პოლონეთის მისიის მრჩეველის—ზელეზინსკის სიტყვიერმა განცხადებამ, ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი მხეცურათ მოკლული იქნენ პოლონეთის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების და პატიმრების მხლებელ რაზმის თანდასწრებით იმ დროს, როდესაც ისინი სადგურ სტოლბციდან გადაყავდათ გაცვლა-გამოცვლის ადგილას—სადგურ კოლოსოვოში. ამასთანავე **მკვლელობა მოხდა ისეთ პირობებში, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ, თითქოს აქ შემთხვევითი გარემოებები ან და ინდივიდუალური შურისძიების სურვილი თამაშობდა როლს.**

საკავშირო მთავრობის სახელით მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ პოლონეთის ხელისუფლების ვერაგული მოქმედების წინააღმდეგ, როგორიც არის ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლა იმ პირის მიერ, რომელიც პოლონეთის სახელმწიფო სამსახურში ითვლება, სწორეთ გაცვლა-გამოცვლის მომენტში სპეციალურათ გამოგზავნილია პოლონელი მოხელეების თანდასწრებით.

აღშფოთებას, რომელიც გამოიწვია ამ ბოროტმოქმედებამ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფართო მასებში, აღრმავებს კიდევ ის გარემოება, რომ ასეთ მკვლელობას ადგილი ჰქონდა პოლონეთში 1919 წლის 2 იანვარს, როდესაც მხეცურათ დახოცეს რუსეთის წითელი ჯვრის დელეგაციის წევრები: ვესელოვსკი, მარია ალტმანი, აივაზოვა და ექიმი კლიოცმანი, რომლებსაც პოლონეთის ხელისუფლება ასახლებდა პოლონეთის საზღვრებიდან. საბჭოთა მთავრობას ამიტომ ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ პოლონეთის მთავრობა ამ შემთხვევაში მიიღებდა ყოველგვარ ზომებს, რომ არ დაეშვა ამგვარი შემთხვევის განმეორება და ხელუხლებლივ მიეყვანა გასაცვლელ პუნქტზე ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი.

დასასრულ, გამოვსთქვამ რა იმედს, რომ პოლონეთის მთავრობა გასცემს განკარგულებას გადასაცვლელ პატიმრების ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მკვლელობის სასტიკ და ყოველმხრივ გამოძიების შესახებ და რომ დამნაშავენი სასტიკათ დასჯილი იქნებიან, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ პოლონეთის მთავრობის მიერ პერსონალური გაცვლა-გამოცვლის საკითხში თავის თავზე აღებულ ვალდებულებების არშესრულება უფლებას აძლევს საკავშირო მთავრობას იმ პირების მიმართ, რომლებიც დღევანდელამდე გაგზავნილი უნდა ყოფილიყვნენ პოლონეთში გაცვლა-გამოცვლის წესით, იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირში არსებული კანონები. მიიღეთ, ბ-ნო საგანგებო რწმუნებულო და სრულუფლებიანო მინისტრო, რწმუნება ჩემს თქვენდამი სრულ პატივისცემაში.

ჩიჩერინი.

პოლონეთის „დიპლომატების" მუშაობა

პოლონელ ჯაშუშთა ორგანიზაცია

მინსკი. 3 აპრილი. ამ დღეებში ბელორუსიის სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ აღმოაჩინა ჯაშუშთა ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა კარჩევსკი, პოლონეთის ყოფილი კონსული მინსკში და მეორე მდივანი პოლონეთის დიპლომატიური მისიისა მოსკოვში.

ამ საქმის გამო დაპატიმრებული მოქალაქე მარკაჩი გამოტყდა. მან სთქვა, რომ, როცა მას სურდა სამშობლოში დაბრუნება, ის მივიდა პოლონეთის კონსულთან მინსკში კარჩევსკისთან და სთხოვა ნებართვა სამშობლოში დაბრუნებისათვის. კარჩევსკიმ განუცხადა მარკაჩს, რომ ის მისცემს მას სათანადო მოწმობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მარკაჩი დაამტკიცებს თავის ერთგულებას პოლონეთისადმი, და მაშინვე წინადადება მისცა მას მისი ხელმძღვანელობით დაეწყო დასაზვერავი მუშაობა ბელორუსიის ტერიტორიაზე, მოეწოდებია მისთვის ცნობები საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობის, სამხედრო ძლიერების, საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის, მათ სათავეში მდგომ პირების შესახებ მასვე უნდა ეშოვა ბელორუსიის პასუხისმგებელ მუშაკების ფოტოგრაფიული სურათები და მათი მისამართები. მარკაჩი დათანხმდა კარჩევსკის წინადადებაზე და ყველა აღნიშნულ დავალებებს ასრულებდა 30 მარტამდე, სანამ ის არ შეიპყრეს. თავისი „მუშაობისათვის" მარკაჩმა მიიღო კონსულისაგან ჯილდო 165 მანეთი. კონსულმა აღუთქვა მას, რომ თუ მარკაჩს გაუგებენ ჯაშუშობას, ის თავისი აგენტების შემწეობით გადაგზავნის მას პოლონეთში. დაპატიმრებული მარკაჩი გამოტყდა დანაშაულში.

ახლო მომავალში ეს საქმე გაირჩევა ბელორუსიის უმაღლეს სასამართლოში.

პანების კიდევ ერთი საძაგლობა

კვალს ფარავენ

პრაღა. 3 აპრილი. ვარშავიდან უკანასკნელად მიღებული ცნობებით, პოლონეთის მთავრობამ უბრძანა სტოლბეცკის მამასახლისს დაუყონებლივ დაასაფლავოს მხეცურად წამებულ ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის ცხედრები **და არავითარ შემთხვევაში არ მისცეს ისინი დასასაფლავებლად მშობლებს.** პოლონეთის სეიმის წრეებში ლაპარაკობენ, რომ ამის მიზეზი იყო **იმ წამების კვალის დაფარვა, რომელსაც მიმართეს პოლონეთის ჟანდარმებმა ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის წინ.** საერთოდ ლაპარაკობენ, რომ **ვეჩორკევიჩი მოჰკლა პოლონელმა სამხედრო ექიმმა, რომელიც მას** ოპერაციას უკეთებდა.

„რემედას"-ის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 3 აპრილი. გამოქვეყნდა „რემედას"-ის აღმასკომის მოწოდება ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის გამო. მოწოდება მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს სასტიკი პროტესტი განაცხადონ პანების აღვირახსნილ ტერორის წინააღმდეგ.

უსასის გასამართლება

მინსკი, 3 აპრილი. 2 აპრილს ქსენძი უსასი [illegible] მინსკიდან გაგზავნეს ლენინგრადში სასამართლო ხელისუფლების განკარგულებაში. უსასთან ერთად მინსკიდან გაიგზავნა გადასაცვლელად [illegible] ყოფილი არალეგალური კონსული თბილისში ლაშკევიჩი.

ლორდები გაწყრენ

ინგლისის მეფის „გვირგვინის შეურაცმყოფელი" კარიკატურები.

ლონდონი, 2 აპრილი. „მორნინგ პოსტი" იუწყება, რომ თემთა პალატის კონსერვატორებს განზრახული აქვთ მიაქციონ გარეშე საქმეთა მინისტრის ყურადღება „პრავდასა" და „იზვესტიაში" მოთავსებულ წერილებს ლორდ კერზონის წინააღმდეგ და აგრეთვე ამავე გაზეთებში მოთავსებულ „ინგლისის მეფის გვირგვინის შეურაცმყოფელ" კარიკატურებს.

უკანასკნელი ცნობები

ჩეხო-სლოვაკიის „ოხრანკის“ პროვოკაცია

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის განცხადება.

პრაღა, 3 აპრილი. მთელმა პრესამ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შემდეგი განცხადება: „უკანასკნელი დროის განმავლობაში ჩეხიის პრესის ერთმა ნაწილმა დაიწყო ყოვლადგვარ საფუძველს მოკლებული კამპანია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის წინააღმდეგ პრაღაში, ადგილი ჰქონდა აგრეთვე სისტემატიურ ცდებს, რომელთა მიზანი იყო სრულუფლებიან წარმომადგენლობის წამოგება პროვოკაციის ანკესზე. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბინაზე და საკონსულო განყოფილებაში მიდიოდენ მთელი რიგი საეჭვო პირები, რომლებიც აცხადებდენ, რომ მზათ არიან იმოქმედონ ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყველა შემთხვევებში ეს პირები ახერხებდენ სრულუფლებიან წარმომადგენლობიდან გაპარვას პოლიციის გამოწვევამდი, მაგრამ სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ მაინც მოახერხა ოთხი მათგანის, სახელდობრ ადოლფ კონის, ფრანც ლაუერმანის, სკრიდლოვ-ბანკოვის და ტარნოვსკის გადაცემა ჩეხო-სლოვაკიის პოლიციის ორგანოების ხელში.

ვირჯინიის მაღაროს მუშების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. ჩრდილოეთ და დასავლეთ ვირჯინიის მაღაროს მუშებმა, რაცხვით 6.000 კაცმა, გამოაცხადეს გაფიცვა; გაფიცულები მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას.

ქურთების აჯანყების ჩაქრობა

ანგორა, 3 აპრილი. ოსმალეთის მთავრობის ჯარები დიარბექირიდან წინ მიიწევენ მდ. ტიგროსის ორივე ნაპირებზე.

ქურთების სოფლების მოსახლეობა ნებდება მთავრობის ჯარებს. აჯანყებულთა მთავარი ძალები საიდას მეთაურობით თავმოყრილია ჩუქსურის მიდამოებში. მიღებულია ყველა ზომები იმისათვის, რომ საიდს საშუალება არ მისცენ გაიქცეს სამხრეთისაკენ.

ქარბუქი

ჩიტა, 3 აპრილი, ჩიტის რკინისგზა დაფარულია თოვლით, რომლის სიღრმე უდრის ერთ საჟენს. მიმოსვლა აღმოსავლეთთან შეწყვეტილია. ჩიტაში შეჩერებულია ჩქარი მატარებელი. მიღებულია ზომები რკინისგზის ხაზის გასაწმენდად.

ამხ. კარკლინის დამტკიცება

მოსკოვი, 3 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. კარკლინი დაამტკიცა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულათ ა|კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობასთან.

ფინეთის სეიმის ახალი თავმჯდომარე

ჰელსინგფორსი, 3 აპრილი. 1 აპრილს მოხდა ფინეთის სეიმის ახალი თავმჯდომარის არჩევნები. კენჭის ყრის შემდეგ არჩეული აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატი ვუოლიკი, რომელმაც 79 ხმა მიიღო.

შვედების და აგრარიების ნაწილმა ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიულ კანდიდატს.

სუნ-იატ-სენის ცხედარის გადასვენება

პეკინი, 3 აპრილი. 2 აპრილს სუნ-იატ-სენის გვამი ცენტრალური პარკიდან გადაასვენეს ეგრედ წოდებულ „დასავლეთ ხოლმში“, რომელიც დაახლოვებით 25 ვერსითაა დაშორებული პეკინიდან.

ეს გამოწვეულია იმით, რომ განსვენებულის ოჯახი და გომინდანის პარტიის მთელი რიგი გამოჩენილი წევრები მოითხოვდენ ცხედარის უფრო უშიშარ ადგილას გადასვენებას.

პროცესიაში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა დროშებით, პლაკატებით და გვირგვინებით.

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ლონდონში

ლონდონი. 3 აპრილი. ოთხშაბათს საღამოს ლონდონში ჩავიდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დელეგაცია.

სადგურზე დელეგაციას შეხვდენ ინგლისის პროფესიონალური მოძრაობის ბელადები ბრამლი, ტილეტი, ბრომლეი, ჯონ ტერნერი და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში რაკოვსკი.

არც ერთი სოციალ-დემოკრატი

საქარხნო კომიტეტების არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს

ბერლინი. 2 აპრილი. სამრეწველო ოლქში ლიმბახში (საქსონია) ჯერჯერობით ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არჩევნები დამთავრდა 16 წარმოებაში, არჩეული არიან: 72 კომუნისტი. 9 უპარტიო და არც ერთი სოციალ-დემოკრატი.

რურის ოლქის 11 მაღაროში პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრეთა კანდიდატების სიამ მიიღო 73 ადგილი, სამთომადნო მუშების კავშირმა—29, გლეხთა პროფკავშირმა—26. მთლიანობის მოხრეების სიით გადიოდენ აგრეთვე კომუნისტებიც, სამთო-მადნო მუშების კავშირის სიით—ამსტერდამელები.

11-დან 7 მაღაროში უმრავლესობას შეადგენენ რევოლიუციონერი მუშები.

ჟ. სადულის პროცესი

ორლეანი. 3 აპრილი. სადულის პროცესზე 2 აპრილს ქვეყნდება ტროცკის დეპეშა, რომელშიაც განსაზღვრულია სადულის როლი რუსეთში ყოფნის დროს და გაკრიტიკებულია საფრანგეთის დიპლომატიის პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ეს დოკუმენტი, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე სთვლის სადულის უაღრეს სინდისიერების დამამტკიცებლად, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

შემდეგ დაკითხული იქნა ბრალდების მოწმეები, რომლებიც იძლევიან ბრალდებულისათვის ხელსაყრელ ჩვენებას. ბრალდებულის მოწმენი ტორრესი და ლონგე აქებენ სადულის მოღვაწეობას და მის შორსმჭვრეტელობას.

ლონგე აცხადებს, რომ სადულის რჩევას თუ დაუჯერებდით ომი გაცილებით უფრო ადრე დასრულდებოდა და გადარჩებოდა მრავალი ათასი ადამიანი.

დამცველებმა დაამტკიცეს, რომ სადულს ბრალად ედებოდა დეზერტირობა და სხვა ბოროტმოქმედება კლემანსოს მოთხოვნით.

სამოქალაქო პანაშვიდი მარხლევსკის და ვლადიმიროვის გარდაცვალების გამო

ბერლინი. 3 აპრილი. სამოქალაქო პანაშვიდი მარხლევსკის და ვლადიმიროვის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ბერლინში, ატარებდა საზეიმო ხასიათს.

სიტყვები წარმოსთქვეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კრესტინსკიმ, პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენელმა ერნესტ მეიერმა და აგრეთვე ტელმანმა.

გარდაცვალებულთა ცხედრების გამოსვენებამ სილეზიის სადგურზე მიიღო დიდი სამგლოვიარო პროცესიის ხასიათი. პროცესიას შეუერთდენ ათასობით მუშები, მუშა ქალები და ყოფილი მეომართა წითელი კავშირის წევრები.

კომპარტიის ცეკას წევრის პიკის სიტყვის შემდეგ ყუთი ვლადიმიროვის ნეშტით შეტანილ იქნა ვაგონში. პოლიციამ არ დაუშვა ბაქანზე დეპუტაცია გვირგვინის მისატანათ.

შემდეგ სამგლოვიარო პროცესიამ ყუთი მარხლევსკის ნეშტით მიაცილა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტამდე, სადაც ნეშტი იქნება დასაფლავებამდე; დასაფლავება მოხდება კვირას ფრიდრიხსფელდში რევოლიუციონერთა სასაფლაოზე.

დამბლონის პოლიტიკური ანდერძი

პარიზი 2 აპრილი. ბელგიის კომპარტიის ორგანო „დრაპო რუჟი“ აქვეყნებს ასეთი სათაურით („დამბლონის პოლიტიკური ანდერძი“) დამბლონსა და ბელგიის რეფორმატიულ მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა შორის მომხდარ კონფლიქტის ისტორიას.

თავის ანდერძში დამბლონი იცავს კომუნისტურ პრინციპებს, უარყოფს ეროვნული თავდაცვის კაპიტალისტურ პრინციპს, მოითხოვს რუსეთის რევოლიუციასთან შეერთებას, ჰკიცხავს ქართველ მენშევიკებს და მხარს უჭერს პროლეტარიატის დიქტატურას.

დამბლონი იყო ბელგიის მუშათა პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი და სარგებლობდა პოპულიარობით ბელგიის მუშებს შორის.

შრომის და თავდაცვის საბჭოს გაფართოებული თათბირი

მოსკოვი. 3 აპრილი. 31 მარტის უკანასკნელ სხდომაზე ადგილებიდან წარმომადგენლების მონაწილეობით გრძელდებოდა კამათი საქონლის გამანაწილებელი ქსელის გაფართოების შესახებ. კამათი ეხებოდა აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების და კოოპერაციის საშუალებათა გაძლიერების და კერძო კაპიტალის გამოყენების პრობლემას.

ამხ. ძერჟინსკის სიტყვა

ძერჟინსკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა კოოპერაციის შესახებ. ხაზი გაუსვა, რომ კოოპერაცია წარმოადგენს საქონლის ბრუნვის მთავარ ფორმას, რომელიც საბჭოთა წესწყობილებაშია მიღებული. ძერჟინსკიმ აღნიშნა, რომ კოოპერაციის ფინანსიურ ბაზას უნდა წარმოადგენდეს არა სახელმწიფოს დახმარება, არამედ მცხოვრებთა კოოპერატივებში გაერთიანება. ბიუჯეტით კოოპერაციისათვის თანხების მიცემა დასაშვებია მხოლოდ როგორც გამაჯანსაღებელი ზომა, რამდენადაც კოოპერაცია იძულებულია იქონიოს მილიარდიანი ბრუნვა, როდესაც მისი ძირითადი თანხა უდრის 110 მილიონ მანეთს. 1923—24 წ. წ. ადგილი ჰქონდა დაგროვებას ვაჭრობის დარგში, მაგრამ მთელი მოგება გაქრა ჩვენ ვაჭრობაში საქმის არაწესიერად წაყვანის გამო.

წარმოების დარგში ჩვენ დავისახეთ ამოცანა გავაძლიეროთ შრომის ნაყოფიერება და კიდევაც მივაღწიეთ შედეგებს. ვაჭრობაში ამ შედეგებს ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ: ეს პრობლემა კიდევ უნდა იქნას დასმული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

უნდა შევინარჩუნოთ კოოპერაციის პრივილეგიური მდგომარეობა, მაგრამ საჭიროა პოლიტიკის შეცვლა კერძო კაპიტალის მიმართ. საჭიროა გამოვიყენოთ კერძო ვაჭარი, რამდენადაც ის არ უცდის, როდესაც მივა მასთან მყიდველი ფულებით და, წინააღმდეგ კოოპერაციისა, თვით ეძებს მყიდველს. ხშირად თავის მცირე თანხას ის ახერხებს გაადიდოს ორჯერ და სამჯერ. კერძო კაპიტალის მიზიდვა საშუალებას მოგვცემს გამოვაამჟღავნოთ ფარული პოტენციალური მოთხოვნილება. ეს ნიშნავს არა კოოპერატიულ სისტემის გაუქმებას, არამედ მის განმტკიცებას.

სმილგამ აღნიშნა, რომ მომავალში სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა შეაჩეროს თავისი განვითარების ტემპი, და გააუმჯობესოს თავისი შინაური მუშაობა.

ფინანსთა სახ. კომისარიატის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელთა საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოვიდა ამხ. კამენევი, რომელმაც ჯამი გაუკეთა კამათს.

ამხ. კამენევის სიტყვა

კამათში,—სთქვა მან,—აღსანიშნავია რამოდენიმე მომენტი, რომელნიც დღეს წარმოადგენს უმთავრეს საკითხს. ყველაზე მთავარია: წინააღმდეგობა სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის შორის. უკანასკნელის დანიშნულებაა სამრეწველო წლის პროდუქციის ბრუნვა. საკვირველი არ არის, რომ კერძო კაპიტალის გამოყენების ინიციატივა ეკუთვნის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს: სახელმწიფო ორგანიზაციამ, რომელიც ამზადებს სამრეწველო საქონელს, საჭიროთ ჩასთვალა პირველ ყოვლისა, სავაჭრო კაპიტალის გადიდება. დასაშვებია აგრეთვე საშუალებათა გადადება სახელმწიფო ბიუჯეტით სავაჭრო ორგანიზაციების კაპიტალის გასადიდებლად.

მაგრამ მხოლოდ ამით არ შეიძლება მოისპოს წინააღმდეგობა სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალს შორის. ამ მხრივ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სამი საშუალებით, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფება—კოოპერაციით, ვაჭრობით და კერძო კაპიტალით. ამასთანავე უკანასკნელათ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ უფრო გაბედულად, ვიდრე დღემდის. სოციალიზმის მშენებლობაში უფრო საშიშარია, „სავაჭრო სიცარიელე“ რომელიც შემჩნეულია ზოგიერთ რაიონებში, ვიდრე კერძო კაპიტალი, რომლის მიმართ ჩვენი პოლიტიკა არ უნდა იყოს სქემატიური. კერძო კაპიტალის და კოოპერაციის როლი ჩამორჩენილ რაიონებში და მსხვილ სამრეწველო რაიონებში სხვადასხვაგვარია. არ შეიძლება ჩამორჩენილ რაიონებში გავატაროთ იგივე მეთოდები კერძო კაპიტალის და კოოპერაციის მიმართ, როგორც ტარდება მოსკოვში.

მრეწველობის განვითარებას თან უნდა სდევდეს სოფლის საწარმოვო ძალთა განვითარება. აქედან უკანდახევა გამოიწვევს ახალ წინააღმდეგობას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. მაგრამ სოფლის საწარმოვო ძალთა განსავითარებლად ჩვენ არა გვაქვს სხვა საშუალება, გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა“.

ბოლოს კამენევი აღნიშნავს, რომ საშუალებათა განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ეროვნულ რესპუბლიკების და ოლქების ინტერესები.

თათბირის დადგენილება

შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი დადგენილება: „საჭიროთ იქნას აღიარებული საქონლის გამნაწილებელ აპარატის კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობისათვის ბანკიდან საკრედიტო დახმარების მიცემა. გადადებული იქნას კოოპერატიულ ორგანიზაციების ძირითად კაპიტალის გასადიდებლად სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებიდან, გრძელვადიანი სესხის სახით—10 მილიონი მანეთი. კრედიტის და სახელმწიფო მრეწველობასთან ანგარიშები გასწორების პირობები შემსუბუქებული უნდა იქნას. კოოპერაციამ უნდა მიაქციოს ყურადღება თავის მომხმარებლის—წევრის მოთხოვნილებას.

საჭიროა თანდათან გაუქმებული იქნას იძულებითი ასორტიმენტების სისტემა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო და მიწა-მრეწველობის კოოპერაციის მდგომარეობას და საჭიროებებს.

საქონლის ბრუნვის გაფართოების და დაჩქარების მიზნით საჭიროა კერძო კაპიტალის ვაჭრობაში ჩაბმით, ჩაყენებული იქნას იგი უფრო კარგ პირობებში, ვიდრე დღეს.

საჭიროა გადაისინჯოს საკითხი კერძო ვაჭრობის გადასახადებით დაბეგვრის იმ თვალსაზრისით, რათა მაქსიმალურად მიზიდული იქნას სავაჭრო ბრუნვაში კერძო კაპიტალი, განსაკუთრებით საწვრილმანო ვაჭრობაში.

დაევალოს ფინანსთა სახ. კომისარიატს სასწრაფოთ შეიტანოს სათანადო ცვლილებანი კერძო ვაჭრობის დაბეგვრის სისტემაში.

დაევალოს შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს და ფინანსთა სახ. კომისარიატს დაამუშაონ საკითხი გლეხობისათვის ბაზრებზე, რკინისგზის სადგურებზე და ნავთსადგურებზე თავის მეურნეობის პროდუქტების გასაღების და ქალაქის მრეწველობის პროდუქტების შეძენის პირობების შემსუბუქების შესახებ“.

აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა თათბირი

მოსკოვი. 3 აპრილი. 2 აპრილს გაიხსნა აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა მესამე თათბირი, რომელიც მოწვეულია რ. კ. პ. ცეკას მიერ მოსკოვის მუშების წარმომადგენელთა თანადასწრებით.

მონაწილეობას ღებულობს დაახლოვებით 50 დელეგატი ქალი, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა კავშირში შემავალ აღმოსავლეთის 20 ერს. თათბირზე დელეგატ ქალების მეტი ნაწილი ჩაცმულია ეროვნულ ტანისამოსში.

თათბირს ხსნის ნიკოლაევა, რომელიც თავის პირველ სიტყვას უძღვნის ლენინის და ნარიმანოვის ხსოვნას.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის და აღმოსავლეთის ხალხთა სახელით მისალმებით გამოდის როი.

„რუსეთის რევოლიუციამ,—ამბობს როი,—საძირკველი ჩაუყარა ძმურ კავშირს დასავლეთის პროლეტარიატთან და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებთან. განთავისუფლებულ საბჭოთა აღმოსავლეთის მშრომელმა ქალებმა თავის მაგალითით უნდა ჩააბან ბრძოლაში ახალი საბჭოთა ცხოვრებისათვის კაპიტალის უღლის ქვეშ მყოფი ქვეყნების ასეულ მილიონობით დები, აღმოსავლეთის ქალებმა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში უნდა ითამაშოს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი, ვიდრე მუშა და გლეხ ქალებმა—ოქტომბრის რევოლიუციისათვის“.

—კასპაროვა ესალმება თათბირს ქალთა საერთაშორისო სამდივნოს სახელით.

ციტლინი თათბირს ესალმება რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის მუშა ქალების სახელით და დელეგატ ქალებს უზიარებს თავის მოგონებებს ნარიმანოვზე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აღმოსავლეთის ქალთა გამოფხიზლების საქმეში.

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სახელით მისალმებით გამოდის ამხ. იბრაგიმოვი.

თათბირი მქუხარე ტაშით ხვდება თურქმენ ქალს კულიევას, რომელიც თურქმენისტანის ქალთა სახელით ესალმება კომპარტიას, რომელმაც თურქმენისტანის ქალები გამოაღვიძა სალათის ძილისაგან და დააყენა ისინი განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე.

უზბეკისტანის ქალების სახელით გამოდის ტახთა-ბიბიტ-მუხამედოვა. „უზბეკისტანი,—ამბობს ის—რომლებიც აღიზარდენ ბნელ ოთახებში და საშინლად ცუდ პირობებში, ესალმებიან კომპარტიას, რომელმაც გაუღო მათ დიდი ქვეყნის ფართო კარები“.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ქალების სახელით თათბირს ესალმება ზავარიანი.

ყირგიზეთის მშრომელ ქალთა სახელით გამოდის ბეიგალიევა, რომელიც აღნიშნავს, რომ ყირგიზეთის ქალთა მოძრაობაში უკვე ჩაბმულია 3000 დელეგატი, 3,070—საბჭოს წევრი და 400 ყირგიზი ქალი სახალხო სასამართლოებში.

ჩრდილოეთ კავკასიის სახელით გამოდის ალექსეევა, რომელიც ეხება მუშაობას მთიულ ქალებს შორის ჩრდილოეთ კავკასიის აულებში.

აფხაზეთის ქალების სახელით თათბირს მიესალმა ამერბუ.

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის წევრი, კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დელეგატი თავის მისასალმებელ სიტყვაში ამბობს, რომ რუსეთის მუშა-ქალთა მაგალითი ხელს შეუწყობს დასავლეთის მშრომელ ქალთა გამოფხიზლებას და დარაზმვას.

დასასრულ თათბირმა მოისმინა ბრონიდოს მოხსენება პარტიის ამოცანების შესახებ საბჭოთა აღმოსავლეთის ნაციონალურ პოლიტიკის დარგში.

კომინტერნში

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი მდივანი

ამხ. ბესო ლომინაძე.

ამხ. ლომინაძე—ერთერთი აქტიური მუშაკია კომპარტიისა. ის ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლიუციონურ მუშაობაში. 1918—19 წ. წ. ის იყო ერთი ხელმძღვანელთაგანი ბაქოს ორგანიზაციისა, როდესაც აზერბეიჯანში ბატონობდა კონტრ-რევოლიუციონური „დემოკრატია“. შემდეგ ის იყო ლენინგრადის ორგანიზაციის ერთერთი აქტიური მუშაკი—ვიბორგის რაიონის ხელმძღვანელი, 1923 წელში—ის საქართველოს კომპარტიის ცეკას გენერალური მდივანია, სულ უკანასკნელათ ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მდივნათ არჩევამდი, ამხ. ლომინაძე სწავლობდა კომუნისტურ აკადემიაში.

კომინტერნის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა კონფერენცია

მოსკოვი. 3 აპრილი. 2 აპრილს გაიხსნა კომინტერნის აღმასკომის სააგიტაციო-საპროპ. განყოფილებათა კონფერენცია. კონფერენციას ესწრებიან კომინტერნის თითქმის ყველა სექციების წარმომადგენლები.

შესავალ მოხსენებაში ბელაკუნმა ხაზი გაუსვა სექციების ბოლშევიზაციის და მასიურ პარტიების შექმნის აუცილებლობას. „საჭიროა გავხსნათ,—სთქვა მან,—როგორც ელემენტარული, ისე ცენტრალური პარტიული სკოლები“.

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებენ ჩეხო-სლოვაკიის, ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის და პოლონეთის კომპარტიები.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად გამოყოფილია სპეციალური ქვეკომისიები.

თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

მოსკოვი. 2 აპრილი. ამხ. კისილიოვმა თავის მოხსენებაში სათემო და სასოფლო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, სთქვა: „გამოკვლევის მასალები ეხება 31 გუბერნიასა და ოლქს, 56 სათემო აღმასკომს და 115 სასოფლო საბჭოს. აქედან სჩანს, თუ რა სამუშაო არის შესრულებული. სოფლის მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულად არის გამოკვლეული. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ცენტრიდან დამდგარ წყალში გადასროლილი ქვა, შეარყევს ადგილებს და მისი ტალღები, [illegible], მიაღწევს სოფლამდე.

რა აწუხებს გლეხობას

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაკლი.

თათბირმა გამოარკვია ბევრი უარყოფითი მხარე, რომელიც რაც არ უნდა დაგვიჯდეს, თავიდან უნდა ავიცილოთ. არსებული მასალები გვიხატავს მთელ რიგ მომენტებს, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვს გლეხობასთან, მაგალითად, საკითხი საბჭოთა მეურნეობის შესახებ. ბევრ ადგილას სამეურნეო საბჭოებს არავითარი კავშირის დაკავება არა სურთ თემთან. ის კი იწვევს მრავალ წვრილ გაუგებრობას; ამ ნიადაგზე იბადება უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებით საერთოდ. შემდეგ მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს იწვევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხი. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ორი მეურნეობა მიწის სივრცის, საქონლის და [illegible] ერთგვარი რაოდენობით იბეგრება არა ერთგვარი გადასახადით. საჭიროა შესწორებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის ნაკლი.

ტყეების საკითხი.

სატყეო საქმეების საკითხში არსებობს აგრეთვე ნაკლი, რომლის გამოსწორებაც აუცილებლათ საჭიროა. ადგილებზე ხანდახან ცოტათ თუ ბევრად მომჭირნე და მუშა მეპატრონე გლეხს კულაკებად რიცხავენ. საჭიროა ამ ახლო მომავალში შესწავლილი, შემუშავებული და გადაჭრილი იყოს ეს საკითხები, რის შემდეგაც უნდა მიღებულ იქნეს ზომები კანონმდებლობითი გზით.

შინამრეწველობის საკითხი.

ეხლა—საკითხი ეხება შინამრეწველთ, რომელნიც უკმაყოფილონი არიან მათზე დადებულ დიდი გადასახადით. საბჭოთა კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო კომისართა საბჭოს შეიმუშაოს პროექტი დეკრეტისა, რომელმაც ამ მოკლე დროში უნდა შეამსუბუქოს სოფლის შინამრეწველთა მდგომარეობა.

კოოპერაცია.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა ბევრ ადგილას თითქმის სრულებით არ არის კოოპერატივები.

ბოროტ-მოქმედებანი გადასახადის გარშემო.

აგრეთვე დიდძალი ბოროტ-მოქმედებანი ხდება გადასახადის შეკრების გარშემო. გამოკვლევის მიერ აღნიშნული ფაქტები იმდენად დამარწმუნებელია ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რომ ამის გამო საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა უკვე მიიღო სათანადო ზომები.

სოფლად მოქმედ დაწესებულებები, ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გამოჩნდა ჩვენში სასოფლო საბჭოებისა და სათემო აღმასკომების სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთ დამოკიდებულებაში, როგორც მაგალითად: მიწის კომისიებთან, სამიწო საზოგადოებებთან და გლეხკომებთან დამოკიდებულებაში. გლეხკომების შესახებ ბევრი ფაქტები, რომელიც მოითხოვს სათანადო ზომების მიღებას, რომ საკანონმდებლო გზით განისაზღვროს სათემო აღმასკომების, სასოფლო საბჭოების და გლეხკომების ფუნქციები და გამოირკვეს მათი ურთიერთი დამოკიდებულების საკითხები.

სამიწო საზოგადოებებისა და კომისიების შესახებ მოიპოვება საკმაო მასალა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს ამ ორგანოებსა და სათემო აღმასკომებს და სასოფლო საბჭოებს შორის უფრო ნორმალურ და სწორ ურთიერთობის დამყარებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დიდძალი საჩივრები გვაქვს ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ. გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ადგილებზე ხანდახან ისეთი ამბები ხდება, რაც უკმაყოფილებას ქმნიან საბჭოთა ხელისუფლებასა და მუშათა და გლეხთა შორის. ამ უკმაყოფილების თავიდან აცილება ადვილი საქმეა.

ფორმალური მოპყრობა არჩევნებისადმი

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიებს, უნდა ითქვას, რომ სჩანს არჩევნებისადმი ფორმალური მოპყრობა. ჩვენ წინადადებას ვიძლევით მიღებულ იქნას მთელი რიგი ზომებისა ამ მოვლენათა მოსასპობად. რაც შეეხება მოსახლეობის მონაწილეობას არჩევნებში, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრების წყალობით არჩევნებმა დიდი წარმატებები მოგვცა. საშუალოდ გადიდების ციფრი უდრის 25 პროცენტს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ეს ციფრი 45 პროცენტამდე აღწევს.

სათემო აღმასკომების და საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად

შევჩერდები იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროა ადგილობრივ სათემო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ მოვითხოვთ გადიდებული იქნეს არჩევნების ვადა; არჩევნები მოხდეს გლეხობისათვის თავისუფალ დროს, ამით ჩვენ არ მოვაცდენთ მუშაობას გლეხებს და საშუალებას მივცემთ მათ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

კანდიდატების თავზე მოხვევა დაუშვებელია.

ჩვენ ვაწესებთ სავალდებულო საანგარიშო კამპანიას, კანდიდატების თავზე მოხვევა დაუშვებელია. სათემო აღმასკომებთან აუცილებლად უნდა მოეწყოს სექციები და კომისიები. ის საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ თემისათვის, უნდა დაამუშაონ სექციებმა, რომლებშიაც ჩაბმული იქნებიან მოქალაქენი, რათა მათ შეისწავლონ სახელმწიფო აღმშენებლობა და დახმარება გაუწიონ სათემო (ვოლოსტის) აღმასკომს ყველა საკითხების სისწორით გადაჭრაში.

თავისი მოხსენების დასასრულს, კისელიოვი ამბობს: „კომისია ადგენს მთელ რიგ ზომებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საგლეხო მეურნეობის განვითარებას და აღორძინებას. საგლეხო მეურნეობის განვითარებასა და აღორძინებასთან ერთად განმტკიცდება მთელი საბჭოთა კავშირის მეურნეობა“.

კამათი

1 აპრილს საღამოს სხდომაზე კისელიოვის მოხსენების გარშემო კამათის დამთავრების შემდეგ, მომხსენებელი გამოვიდა საბოლოო სიტყვით. თათბირმა კისელიოვის წინადადებები მიიღო საფუძვლად და სათანადო კანონპროექტის შესადგენად გადასცა ისინი კომისიას, რომელსაც ევალება პირველი საფეხურის საბჭოთა აპარატის საკითხების მოწესრიგება.

სათემო ბიუჯეტი

შემდეგ მოხსენებით სათემო ბიუჯეტის შესახებ გამოვიდა პოლიუდოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ სათემო ბიუჯეტის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია გადაირიცხოს თემებზე საშემოსავლო [illegible] ნაწილი და პირველ ყოვლისა სათემო აღმასკომის განკარგულებაში დატოვებული იქნენ ის წარმოებები, რომელთაც აქვთ სათემო მნიშვნელობა.

2 აპრილს დილის სხდომის საბოლოვო ნაწილი მოუნდა იაკოვლევის მოხსენებას ქალაქის საბჭოების შესახებ, ლიუბიმოვის თანამოხსენებას და კამათს ამ საკითხის შესახებ. საღამოს მუშაობდენ სექციები.

საქ. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის საბჭოების მესამე მოწვევის ყრილობის სხდომები

გაიმართება რუსთაველის თეატრში

(რუსთაველის პროსპექტი)

ამასთანავე ცხადდება შემდეგი წესრიგი:

ყრილობის ყველა დელეგატები და სტუმრები დაწესებული ბილეთებით შედიან მხოლოდ და მხოლოდ მთავარ სადარბაზო კარებიდან.

დელეგატები გადამწყვეტი ხმით უნდა მოთავსდენ პარტერში, ის დელეგატები კი, რომელთაც სათათბირო ხმა აქვთ, იკავებენ ადგილებს ბენუარის ლოჟებში.

სტუმრები მათთვის დაწესებული ბილეთებით იკავებენ ადგილებს ბელეტაჟში და პირველი და მეორე იარუსის ბალკონზე.

4—2ნ. 1052 **საორგანიზაციო კომისია.**

ყოფ. მემამულეთა გამოსახლება მამულებიდან

დეკრეტი ტარდება ცხოვრებაში

მოსკოვი. 3 აპრილი. ჯერ კიდევ მანამდი, სანამ გამოქვეყნდებოდა საბჭოთა კავშირის ცაკის დეკრეტი ყოფილ მემამულეთა გამოსახლების შესახებ მათი მამულებიდან საბჭოთა რუსეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა, მხედველობაში მიიღო რა გლეხობის სულიერი განწყობილება, დაიწყო ყოფილ მემამულეების გამოსახლება იმ ადგილებიდან, სადაც პოლიტიკური მოსაზრებით მათი დატოვება სრულიად დაუშვებელი იყო. გამოცემულმა დეკრეტმა დაადასტურა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ხაზის სისწორე და შემდეგი მიმართულება მისცა დაწყებულ მუშაობას.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობს 5.123 მემამულეს მეურნეობა 65.000 დესეტინა მიწით და 30.000 მჭამელით. ყოფილ მემამულეთა დიდი ნაწილი არ ეწევა თავის შრომით სამეურნეო მუშაობას და დაკავშირებულია მიწასთან მხოლოდ კარმიდამოში ცხოვრების გამო. მემამულეთა ეს ნაწილი მოშორდება მიწას და გაიცანტება ქალაქებში.

იმ ყოფილ მემამულეთ კი, რომელნიც თავისი შრომით ეწევიან სასოფლო მეურნეობას, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი მისცემს მიწას საკოლონიზაციო ფონდიდან იმ გუბერნიებში, სადაც წინად არ ყოფილა მემამულეთა მიწათმფლობელობა.

მემამულეთა გადასახლების შემდეგ განთავისუფლებული მიწები გადაეცემა იმ საზოგადოებებს, რომლებსაც ეს მიწები იყო მიწერილი. ადგილებს დაეგზავნა დირექტივები, რათა ეს მიწები არ იქნას განაწილებული და იქნას გამოყენებული როგორც სანიმუშო მიწები აგრიკულტურულ დარგში, ვინაიდან ამ მამულების უმრავლესობა წარმოადგენს კარგად მოწყობილ მიწებს. იმ ადგილებში, სადაც ასეთი მიწების რაოდენობა აღემატება რაიონის აგრიკულტურულ მოთხოვნილებას, ყოფილ მემამულეების ზედმეტი ნაწილი გადაეცემა გლეხთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფრო მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა დაავალა ადგილობრივ ორგანოებს, რათა არავითარ შემთხვევაში მემამულეთა კატეგორიაში არ შეიყვანონ მშრომელი გლეხობა, რომელიც ფლობს მიწებს ბანკისაგან შესყიდვის შემდეგ და რომელიც თავის შრომით ეწევა იქ სამეურნეო მუშაობას, სარგებლობს რა დაქირავებული შრომით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ადგილობრივმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რათა გამოსახლებას არ ექნეს შურისძიების ხასიათი და გამოსახლებულებს არ მიაყენონ მატერიალური ზიანი საკუთარ სა როების ქონების ან 1917 წლის შემდეგ შეძენილ ქონების ჩამორთმევით.

პარტიული ცხოვრება

არსენალის რაიონის უჯრედების მდივანთა აგიტ-პროპორგანიზატორების თათბირი

ლენინელების გადაყვანა პარტიის წევრებათ

თათბირმა დაადგინა გაძლიერებული იქნეს ადგილებზე ლენინელების გადაყვანა კომპარტიის ნამდვილ წევრებათ, რომლის დროსაც მათ არ უნდა წაუყენონ მეტად დიდი მოთხოვნილებები პარტიის მთელი ისტორიის, პროგრამის და წესდების ცოდნის მხრივ; თათბირმა აღნიშნა, რომ ამ საკითხების არცოდნაში განსაკუთრებით დამნაშავე არიან პოლიტიკური სკოლები, სადაც ლენინელებს ასწავლიდენ კაპიტალიზმს და მრეწველობას, პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს კი განზე სტოვებდენ.

ადგილკომების და ქარხკომების ფრაქციების მუშაობა

თათბირმა აღნიშნა, რომ ადგილებზე უმეტეს შემთხვევებში ადგილკომების ფრაქციები არ არის მოწყობილი; ამის შედეგია ის, რომ საკითხები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გადაწყვეტილი უნდა იქნეს ფრაქციაში, ისმება პირდაპირ ადგილკომის პლენუმზე, უკეთეს შემთხვევაში კი ამ საკითხებს იხილავენ კომუჯრედის საერთო კრებაზე.

თათბირმა აუცილებლათ სცნო ადგილკომების ფრაქციების მოწყობა და მათი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

შემოკლებული პოლიტსკოლების მოწყობა

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ცნობების მიხედვით, თათბირმა საჭიროთ სცნო რამო ნიმე შემოკლებული პოლიტ სკოლის მოწყობა რაიონში იმ ტიულ ამხანაგებისათვის, რომლ უკვე არსებულ სკოლების გა დარჩენ. ამ მიზნით თათბირმა ტაცია-პროპაგანდის ორგანიზატო რებს დაავალა სამი დღის გან ლობაში რაიკომის სააგიტაციო-პროპაგანდო განყოფილებაში წარ გინონ სიები თავის უჯრედების წევრებისა, რომლებსაც ესაჭირო ბათ შემოკლებული პოლიტ სკოლებში მეცადინეობა.

აგიტ-პროპორგანიზატორების მუშაობის შესახებ

თათბირმა მოისმინა სამი კომ ჯრედის აგიტაცია-პროპაგანდის ორ განიზატორების ანგარიშები და მა შესახებ გამართულ კამათის შემდეგ დაადგინა ორგანიზატორების მუშაობა საერთოდ სუსტად იცნოს და წინადადება მისცა რაიკომს საგი ციო-საპროპაგანდო განყოფილ ორ კვირაში ერთხელ სისტემატ რათ მოიწვიოს აგიტ-პროპორგანი ზატორების თათბირი კომუჯრედებ მდივნებთან ერთად, სადაც მათ სა თანადო ინსტრუქციები უნდა მიეცეს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაო ბის საწარმოებლათ.

როტინოვი.

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის კომუჯრედების მდივნების აგიტ-პროპების თათბირის შესახ

30 მარტს გაიხსნა კავკასიის წითელდროშოვან არმიის კომუჯრედების მდივნების და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკების თათბირი. თათბირზედ მონაწილეობას ღებულობენ ყველა ნაწილებიდან წარმოგზავნილი დელეგატები, დაახლოებით 150 ამხანაგამდე.

ასეთი თათბირის მოწვევა არმიის მასშტაბით პირველჯერ ხდება და ცხადია მომავალ მუშაობაში ეს თათბირი დაიკავებს მნიშვნელოვან ადგილს, ვინაიდან მის შემდეგ, რაც არმიის პარტკონფერენცია მოხდა, გავიდა უკვე 8 თვე და ამ ხნის განმავლობაში წარმოიჭრა აუარებელი საჭირბოროტო საკითხები, რომლების გადაჭრა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს,.

ამისათვის არის, რომ დღეს მთელი მასსა არმიის პარტმუშაკებისა დიდის ინტერესით თვალყურს ადევნებს თათბირის მუშაობას და დიდს იმედებს ამყარებს მასზე.

ამ ჟამად ასეთი თათბირის მოწვევა ლაპარაკობს იმის შესახებაც, რომ ჩვენი პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ძირითად პარტორგანიზაციების მუშაობას, მათ უნარიანობის და გაჯანსაღებას.

დღეს პარტიის ძირითადი ლოზუნგია „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ.“ ამ ლოზუნგის უმთავრესი შინაარსი მდგომარეობს ქალაქის და სოფლის მუშების და გლეხების უფრო მჭიდროთ და მტკიცეთ შეკავშირებაში. წითელი არმია კი ის ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანია, რომელიც აერთებს და ამტკიცებს მუშების და გლეხების კავშირს და რომელსაც შეაქვს ცოდნა-შეგნება სოფლად.

არმიაში არსებულ კომუჯრედების განმტკიცება და გაჯანსაღება ნიშნავს თვითეული წითელ არმიელის გააქტივებას. ხოლო წითელ არმიელია ასეთი აქტივის საშუალებით ჩვენ შევსძლებთ განვახორციელოთ ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“.

აი ეს მთავარი ამოცანა, რომელიც დღეს არმიის თათბირის წინაშე დასმული, დიდ მნიშვნელობას აძლევს თათბირის საერთო მუშაობას.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ თათბირის მოსაწვევად წინასწარ წარმოებული მოსამზადებელი მუშაობა, როგორც ადგილებზე, ისე პოლიტსამმართველოებში, გვაძლევს უფლებას ვაფიქროთ, რომ თათბირის მუშაობა მოგვცემს დადებით ნაყოფს და ახლო მომავალში მიერ გამოტანილი ყველა დადგენილებანი სავსებით იქნება ცხოვრებაში გატარებული.

ლადო ნ—ძე.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატთან
ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობის თბილისში ჩამომავალ დელეგატთა საყურადღებოთ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

სთხოვს საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობაზე ჩამომავალ

ამხ. დელეგატებს

გამოცხადდენ თბილისის სადგურის სასტუმრო დარბაზში საჭირო ცნობების მისაღებათ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

ნის. 1051. 4—2

განათლების მუშაკთა მეორე ყრილობა

მეხუთე სხდომა

პროფგანათლების მთავარ სამმართველოს მუშაობა

უმაღლესი სასწავლებლების და პროფტექნიკური განათლების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მეძმარიაშვილი, რომელიც, მიმოხილვას უკეთებს რა უმაღლესი და პროფტექნიკური განათლების დღევანდელ მდგომარეობას, აღნიშნავს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ წარმატებებს, რის გამოც, მომხსენებლის თქმით, სახელმწიფო უნივერსიტეტი ითვლება ერთს საუკეთესო უმაღ. სასწავლებლად მთელს საბჭოთა კავშირში.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ტექნიკუმების და მათი დღევანდელი მდგომარეობის დახასიათებაზე; საანგარიშო წელს გაუქმებულ იქნა ჰუმანიტარულ ტექნიკუმთა უმრავლესობა და მათ მაგიერ გახსნილ იქნა ტექნიკუმები საწარმოო ინდუსტრიალური და სასოფლო-სამეურნეო ხასიათისა. განსაკუთრებით მეტი ყურადღება ექცეოდა უკანასკნელი ტიპის ტექნიკუმების მოწყობას—იმ მოსაზრებით, რომ საქართველო, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, უფრო მეტად საჭიროებს მუშაკ-აგრონომებს.

შემდეგ მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს მუშფაკების და საქარხნო სკოლების დღევანდელ ვითარებას.

პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ლ. რუხაძე, რომელიც უმთავრესად ჩერდება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ წარმოებულ მუშაობის მიმოხილვაზე და ყრილობას ურდგენს ანგარიშს თუ რა გაკეთებულა ამ დარგში დღემდე და რა არის კიდევ გასაკეთებელი. შემდეგ მომხსენებელი ეხება სკოლის გარეშე განათლებას, საბიბლიოთეკო მუშაობას, ქოხ-სამკითხველოებს და იძლევა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მიმოხილვას ამ დარგებში.

მეექვსე სხდომა

დილით, 2 აპრილს გაიმართა კამათი სახალხო განათლების კომისარიატის მუშაობის გარშემო. ორატორთა უმრავლესობა აღნიშნავდა რა უმნიშვნელო დეფექტებს, საერთოდ იწონებდენ განათლების კომისარიატის მუშაობას ყველა დარგებში. ერთმა ორატორთაგანმა გამოსთქვა უკმაყოფილება იმის შესახებ, თითქოს ჩვენს აკადემიურ თეატრებზე იხარჯებოდეს ბევრი ფული, ხოლო თავის შინაარსით ისინი ძალიან დაშორებულნი იყვნენ ჩვენი მასის მოთხოვნილებებისაგან.

გამოითქვა აგრეთვე უკმაყოფილება იმის შესახებაც, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურის გამომცემლობას და სხვას.

ოპონენტებს მოკლე პასუხს აძლევს განათ. სახალხო კომისარი ამხ. კანდელაკი, რომელსაც საფუძვლიანად არ მიაჩნია ზემოხსენებულის მხილებანი. ამხ. კანდელაკი აცხადებს, რომ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ სახალხო კომისარიატმა გააკეთა მეტი, ვიდრე მას დაკისრებული ჰქონდა.

2 აპრილს—საღამოს პლენარული სხდომა არ შემდგარა. მუშაობდენ მხოლოდ სექციები.

მეშვიდე სხდომა

მოხსენება ტერიტ. ნაწილების შესახებ

3 აპრილი დილის სხდომაზე პირველი მოხსენება ტერიტორიალური ნაწილების შესახებ გააკეთა ამხ. ხიმიძემ, რომელმაც დელეგატებს გააცნო ტერიტორიალური სისტემის პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ჩვენი საახედრო ძლიერებისა და სამეურნეო აღორძინებისათვის. დასასრულ მომხსენებელმა მოუწოდა დელეგატებს, რომ სოფლად მასწავლებლობამ აუხსნას და განუმარტოს გლეხობას ჯარის შედგენის ახალი სისტემა.

სამანდატო კომისიის მოხსენება

(მომხსენ. ამხ. ცინცაძე)

ყრილობას დაესწრო სულ 155 დელეგატი, თბილისიდან იყო 63, დანარჩენი—92—მაზრებიდან. ეროვნულ შემადგენლობის მიხედვით ქართველი—113, სომეხი—20, რუსი—14, სხვა ეროვნებანი—8.

ვაჟი—129, ქალი—26. პარტიული შემადგენლობის მიხედვით: კომუნისტი—42, უპარტიო—99, კომკავშირელი—3. კანდიდატები—7.

განათლების ცენზის მიხედვით: უმაღლესი განათლებით: 32, საშუალო განათლებით—88., მდაბიო განათლებით—28, შინაური განათლებით—7. პროფესიით: პედაგოგი—108, პროფმუშაკი—18, პარტმუშაკი—4, ჟურნალისტი—2. აგრონომი—2, და სხვა.

უკანასკნელი სხდომა

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

უკანასკნელ სხდომაზე განათლების მუშაკთა ყრილობას საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მიესალმა მთავრობის თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო განათლების მუშაკთა მუშაობის ამოცანებს სოფლად. ორატორი მოკლეთ ახასიათებს დღევანდელ საერთაშორისო ვითარებას და იმ მნიშვნელობას, რომელიც დღევანდელ პირობებში ეძლევა გლეხის მეურნეობას და საერთოდ გლეხობის საკითხს, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

ჩვენი რესპუბლიკების მომავალი—ამბობს ამხ. შ. ელიავა, დამოკიდებულია მასზე, თუ როგორი წარმატებით წავა წინ ჩვენი გლეხური მეურნეობის აღორძინება, როგორი ურთიერთობა იქნება ქალაქის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის შორის.

პარტიული ძალები საკმარისი არ არის მისთვის, რომ შესრულებული იქნეს ყველა ის სამუშაოები, რომელსაც გვიყენებს ჩვენი გლეხური ქვეყნის სინამდვილე. აქ საჭირო ხდება ყველა კულტურულ ძალთა გაერთიანება; მასწავლებლობა უნდა გასცდეს თავის პირდაპირ დანიშნულების ჩარჩოებს და აქტიურად ჩაებას სახელმწიფო-საზოგადოებრივი მშენებლობის ყველა დარგებში. ამისათვის კი უპირველესად საჭიროა აწეულ იქნეს განათლების მუშაკთა პოლიტიკური და კულტურული მომზადების დონე, რასაც კავშირმა უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება, რომ შესაძლებელი გახდეს განათლების მუშაკთა ნაყოფიერი მუშაობა სოფლად ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებისათვის.

რეზოლიუციების მიღება

ამხ. შ. ელიავას სიტყვის შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციებს გაკეთებულ მოხსენებათა მიხედვით. რეზოლიუციებში ყრილობა იწონებს ცენტ. გამგეობის მუშაობას, ხოლო განათლების სახ. კომისარიატის საქმიანობას ყველა დარგებში დამაკმაყოფილებლად სცნობს.

დასასრულ არჩეულ იქნა კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობა, რომელშიაც შედიან ყველა მაზრის და ყველა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი. გამგეობის წევრთა რიცხვი უდრის—36, სარევიზიო კომისიის—5-ს.

ყრილობა დაიხურა ამხ. ქაცარავას სიტყვით, რომელშიაც აღნიშნულ იყო ყრილობის საქმიანი მუშაობა.

განათლების მუშაკთა პროტესტი ამხ. ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის მოკვლის გამო.

საქართველოს განათლების მუშაკთა მეოთხე ყრილობამ ამხ. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის ვერაგული მკვლელობის გამო მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობამ გაიგო რა ახალი ბოროტმოქმედება—ამხ. ამხ. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მკვლელობა, რომელიც მოწყობილია პოლონეთის შლიახტების მიერ, გამოსთქვამს თავის პროტესტს და აღშფოთებას იმ ახალი საზიზღრობის გამო, რომელიც ჩაიდინა შლიახტურმა პოლონეთმა—რევოლიუციის და მშრომელთა ხალხის გამარჯვებისთვის თავდადებულ მებრძოლთა მიმართ. ამასთანავე ყრილობა აცხადებს, რომ ამგვარი ტერორისტული აქტები დაუსჯელად ვერ ჩაივლის, ამიტომ მოითხოვს ამხ. ამხ. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მკვლელებისათვის მკაცრი მსჯავრის დადებას და აგრეთვე საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ურთიერთობის ხელახალ გადასინჯვას.

წარმოკავშირის რწმუნებულთა მესამე ყრილობა

მეათე სხდომა

„წარმოკავშირის“ საოპერაციო გეგმა 1925 წლისათვის

წარმოკავშირის საოპერაციო გეგმა 1925 წლისათვის უნდა შეიცავდეს ყველა იმ მუშაობათა გაგრძელებას და დამთავრებას, რომელიც გასულ წელს იქნა დაწყებული, წარმოკავშირმა უნდა გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა, როგორც დამზადებისა და გასაღების, ისე გადამუშავების და მიწოდების დარგებში. წარმოკავშირმა მიმდინარე წელს უნდა საბოლოოდ ჩამოაყალიბოს თავისი საქმიანობა ფინანსიური შესაძლებლობის ფარგლებში. მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა წარმოებათა ორგანიზაციას. პირველ რიგში „წარმოკავშირი“-მა უნდა მოაწყოს ისეთი წარმოებანი, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებთან, რომ ამ საშვალებით შესაძლებელი გახდეს ჩვენი მეურნეობის პროდუქტების გასაღება-რეალიზაცია.

1925 საოპერაციო წელს წარმოკავშირს განზრახვა აქვს დაამზადოს 70.000 ფუთი მატყლი, 50 ვაგონი საექსპორტო კვერცხი, 100 ათასი ფუთი ხილი, 15 ათასი ფუთი თხილი, 1 მილიონამდე მანდარინი და 2 მილიონი გრადუსი არაყი.

განზრახულია აგრეთვე ბამბის დათესვა 6.400 დესეტინა მიწაზე და 45 ათასი ფუთი თამბაქოს დამზადება.

გარდა ამისა წარმოკავშირი ამ საოპერაციო გეგმის მიხედვით მიაწვდის ჩვენს გლეხობას 1.410 ათასი მანეთის საქალაქო წარმოების სხვადასხვა პროდუქტებს და სასოფლო-სამეურნეო იარაღს. მიმდინარე წელს განზრახულია კიდევ 1.581.501 მანეთის მარცვლეულის გასაღება თბილისის ბაზარზე.

საგრიკულტურო განყოფილების მუშაობის გეგმა 1925 წლისათვის

1925 წლის საგრიკულტურო მუშაობის გეგმა შეიცავს იმ მუშაობათა გაგრძელებას, რომელიც დაწყებულია ჩვენი მევენახეობის აღსადგენად და სხვა ძვირფასი კულტურების განვითარებლად (სავენახე ვაზების და ხილის სანერგეების გაშენება და სხვა). გარდა ამისა მესაქონლეობის განსავითარებლად საგრიკულტურო განყოფილება 1925 წელს მოაწყობს ზოოტექნიკურ სადგურს და საგრილობელ პუნქტს. სამეურნეო და საგრიკულტურო მუშაობისათვის „წარმოკავშირს“ დასჭირდება 14.577.844 მანეთი. ამ თანხის მიღებას წარმოკავშირი ფიქრობს სასოფლო-სამეურნეო ბანკებიდან სესხის და ავანსების სახით.

3 აპრილს დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენება მომავალი სამუშაო გეგმის შესახებ. დასასრულ მოსმენილ იქნა წარმოკავშირის 1924—25 წლის ბიუჯეტი.

დაჯილდოვება წითელი დროშის ორდენით

საქართველოს ცაკის დადგენილებით ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის საოლქო სანაპირო სკოლა დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის საოლქო სანაპირო სკოლა ბანდიტების და ავანტიურისტების წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლისათვის საქართველოს ცაკის მიერ წარსული წლის დეკემბერში დასაჩუქრებული იყო წითელი დროშის ორდენით. მეორეჯერ დაჯილდოება ამტკიცებს ამ სკოლის სახელოვან ბრძოლას.

ქრონიკა

— **ქართული შრომის სკოლები** ამჟამად ითვლება 36.

— **საბინაო საქმე.** საქ. მ.—გ. ინსპექციამ წინადადება მისცა თბ. აღმასკომის საბინაო განყოფილებას უცვლელად გატაროს ცხოვრებაში საბინაო საკითხის შესახებ გამოცემული დეკრეტები.

— **მეფუტკრეობის ახაღორძინებლად.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თელავის მეფუტკრეთა ამხ. „მშრომელს“ მისცა სესხად 6 ათასი მან.

— **ციმბირის წყლული** გასულ წელს მძვინვარებდა საქართველოს 310 ადგილას სადაც აცრათ 49,033 სულ საქონელს.

— **ხიმინდის პეპელასთან** ქუთაისის, შორაპნის და ოზურგეთის მაზრებში მოეწყო საჩვენებელი წამლობა.

— **ტრამვაის მუშაობა.** თებერვალს ტრამვაის ვაგონებმა გასულის წლის თებერვალთან შედარებით გააკეთეს 21700—ჯერ მეტი შემოსვლა.

— **ხანძართან საბრძოლველათ.** თბ. აღმასკომმა დაადგინა გამოიმუშაოს განსაკუთრებული პირობები ტყის ხანძართან საბრძოლველათ.

— **შრომის დაცვის განყოფილებას** დაევალა თვალყური ადევნოს შრომის კოლექტივების შენობებს, მათში სანიტარულ. ტექნიკურ პირობების დასაცავათ.

— **შრ. სახ. კომისარიატმა** მოიწონა შრომის დაცვის განყოფილების გეგმა გეშოკვების წარმოებებში მოზარდთა განსაზღვრულ რიცხვის ჩაბმის შესახებ.

— **ახტალაში სამკურნალოდ** სოც. დაზღვევის სამმართველო წელს გაგზავნის 300 დაზღვეულს.

— **წარმოკავშირმა** 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე დაარსა 25 ახალი სას.-სამ. ამხანაგობა.

— **კოოპერატიული დაზღვევა.** გასული წლის 1-ლ ოქტ. მიმდინარე წლის 1 მარტამდე წარმოკავშირმა დააზღვევა მოკავშირე ორგანიზაციების 1.724.024 მანეთის ქონება.

— **კონიაკის ახალი ქარხნები.** წარმოკავშირს განზრახვა აქვს იმერეთსა და კახეთში ააგოს კონიაკის ქარხნები.

— **რენტგენის სხივებით ექიმობა.** დაზღვეულებმა, რომლებსაც სჭირდებათ რენტგენის სხივებით ექიმობა უნდა მიმართონ გინეკოლოგიურ კლინიკასთან არსებულ რენტგენის კაბინეტს.

— **დახმარება.** 4 აპრილს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს მარტის თვის ფულად დახმარებას იმ უმუშევრების, რომლებსაც აქვთ წიგნაკები № 1701-დან № 2100-მდე.

— **პროფგანათლების სამმართველომ** დაადგინა სპეციალური ტექნიკუმები მტკიცეთ დაუკავშიროს წარმოებებს და საამისოთ შეიმუშაოს ახალი გეგმა.

— **დედათა და ბავშვთა დაცვის** განყოფილება შეუდგა სხვადასხვა წარმოებებში მოზარდთა ჯანმრთელობის შემოწმებას.

— **რადიოს მოყვარულთა საზოგადოებამ** გადასწყვიტა გახსნას რადიო-კოოპერატივი საზოგადოების წევრებისათვის მიმღები რადიოების, რადიო ნაწილების, რადიო-ლიტერატურის და სხ. მისაწოდებლათ შეღავათიან ფასებში.

— **ღორების მოშენება.** ღორის ჯიშის გაუმჯობესების მიზნით მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი ოსიაურის საზითლო-ბაქტერეოლოგიურ სადგურთან ხსნის ჯიშიან ღორების ბაგას.

— **მარულა.** საქ. ცხენთა საჯიშოების სამმართველომ მიიღო დონიდან მიწვევა როსტოვსა და დონში საგაზაფხულო მარულებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

— **წარმოების გაფართოების გამო** ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანაში მიღებულია 27 ახალი მუშა.

— **კოლექტიური შვებულება მუშებს.** როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხნის ყველა მუშებს აგვისტოში მიეცემათ კოლექტიური შვებულება ქარხნის საფუძვლიანი შეკეთების მიზნით.

— **შრომის სკოლები თბილისში.** თბ. აღმასკომის ცნობით თბილისში სულ ირიცხება 94 შრომის სკოლა, აქედან 84 იმყოფება აღმასკომის ხარჯზე.

— **ელსადგურის გამოკვლევა.** საქ. მ.—გ. ინსპექციამ დაადგინა ადგილებზე გამოაკვლიოს და შეისწავლოს ხონის ჰიდრო-ელსადგურების აგების საკითხი.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას 5 აპრილს, დღის 12 საათზე, თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ინჟ. გ. ქურდიანი საზღვარგარეთელ შთაბეჭდილებების შესახებ ტეხნიკურ დარგში.

— **ყრუ-მუნჯთა კრება.** კვირას 5 აპრილს, დღის 12 საათზე, დანიშნულია ყრუთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადო კრება მუშათა ცენტრალურ კლუბში, (ზემო სართული, თეატრის დარბაზი).

— **წ.—კ. უცოდინარობასთან საბრძოლველათ.** კვირას, 5 აპრილს, ყველა გოგირდის აბანოები ღია იქნება დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდე. ფასები ჩვეულებრივია. მთელი შემოსავალი გადაეცემა სრულიად საქართველოს წერაკითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების თბილისის განყოფილებას.

— **რადიოს მოყვარულთა წრე.** გაზ. „კომუნისტ“-ი-ს რედაქციასთან დაარსდა რადიოს მოყვარულთა წრე.

„მთელი თბილისი“.

— იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“, გამოცემა თბილისის აღმასკომისა. ასეთი წიგნი თბილისში პირველათ იბეჭდება. წიგნში მოთავსებულია აუარებელი ცნობები ქალაქის ცხოვრების შესახებ . . . ცალკე წერილებით გაშუქებულია ქალაქის მოსახლეობა, სახალხო განათლება, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია და სხვა. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ცნობები ყველა საზოგადო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებზე; განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მთავრობას, საპროფესიო და პარტიულ ორგანიზაციებს. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე სია უსაჭიროესს პროფესიის წარმომადგენლთა და ქალაქის სავალდებულო დადგენილებები.

მუშათა ცხოვრება

ლენინის კუთხე

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში.

კუთხეს უჭირავს ორი მოზრდილი ოთახი.

პირველის ოთხივე კედელს ამშვენებს ტილოზე ხელით ნახატი ლენინის აკალდამა, ლენინი და ტროცკი მიტინგზე, ლენინის სურათი. სამივე სურათი მეტად დიდია და იკავებენ მთელ კედლებს. შიგა და შიგ ჰკიდია აგრეთვე ხელით ნახატი რევოლიუციის მოღვაწეთა სურათები. შუა ოთახში დგას დიდი გრძელი—წითელ ქსოვილით დაფარული მაგიდა—წიგნებით და ჟურნალებით-მოფენილი. შუა მაგიდაზე მხატვრულად გამოყვანილია მოვარაყებული ემბლემა—ჩაქუჩი და ნამგალი.

მეორე ოთახი, რომელიც შეერთებულია პირველთან გახსნილი კედლით, წარმოადგენს მხატვრულად დანაოჭებულ წითელ ქსოვილებით უხვად გამშვენიერებულ სასვენს. წითელი ზოლისებური ნაოჭები, რომელნიც კოხუსის მზგავსად ეშვებიან ჭერიდან კედელზე, წვერთან მზესავით იშლებიან ყოველ მხრივ წითელ სხივებათ. აი ამ ადგილას მაღალ დასაყრდნობზე დგას დიდი ბელადის ლენინის—დიდი ბიუსტი. ქანდაკებას ორივ მხრივ ამშვენებს ტროპიკული მცენარეები, რომელთა მწვანე ფოთლები ფარავს გვირგვინად ეალერსება ქანდაკებას და თალხათ ღაღადებს მშრომელთა დაობლებას.

ქანდაკებას ორივ მხრივ ამშვენებს ორი საფეხურებიანი დიდი გორაკები, რომელნიც დაფარულია ლენინის და პოლიტ. ლიტერატურით. აქაც გრძელი, წითელ ქსოვილით დაფარული მაგიდა, ბევრი წიგნებ-ჟურნალები და სხვა. წითლად მორთულ კედლებს აქაც ამშვენებს ლენინის ცხოვრების სხვადასხვა მომენტების სურათები. იქვე, გვერდზე იმყოფება დიდი წიგნთ-საცავი.

ინფ. ნიკოლაიშვილი.

შრომას არ გვიფასებენ

(შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ)

მევენახეთა კავშირს „ხვანჭკარა“-ს ქონდა გახსნილი კოოპერატიული სასადილო მოსკოვის ქუჩაზე № 2-ში. ამ სასადილოში ჩვენ ვიყავით დაქირავებული ზოგი ხელზე მოსამსახურედ და ზოგი სამზარეულოში მომუშავედ. ჩვენ „ხვანჭკარა“-ს გამგეობისაგან დაპირებული გვქონდა, ჩავეწერეთ წევრებად კავშირში და დავეზღვევეთ კიდეც. მაგრამ გავიდა ხანი და მან თავისი დაპირება არ აასრულა.

მასთან თვეში ორჯერ მას უნდა მოეცა ჩვენთვის ჯამაგირები, მაგრამ უკვე გავიდა ორი თვე და არც დაგვაზღვევეს და არც ჯამაგირები მოგვცეს. ჩვენ ჩავარდით დიდ გაჭირვებაში.

როდესაც მივმართავდით გამგეობას, გვეუბნებოდენ, რომ დაგვაკმაყოფილებდა, ბოლოს კი როცა ჩვენ გადაჭრით მოვითხოვეთ მაშინ გამგეობის თავმჯდომარემ გვიპასუხა: თქვენ გაგისწორდებათ ყოფილი პატრონი მას მიმართეთო, ჩვენი მდგომარეობა აუტანელია. მოგვეშველეთ.

მუშა—მოწონელიძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

ასეთი ექსპლოატატორი უნდა აილაგმოს

(მე-3 რაიონ. შრ. ინსპექტორის საყურადღებოდ)

ორბელიანის ქ. № 10 სახლის პატრონ ქ-ნ გრედნერს ჰყავს ხელზე მოსამსახურე ქალი, რომელსაც დღეში 11—12 საათს ამუშავებს და ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ 4 მან. მისცა, თუმცა გარიგებულია თვეში 10 მანეთად.

საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

მუშკორი—ა. მათხოჯელი.

გაანთავისუფლეთ „ბალკა“ ქურდებისაგან

(მთავ. მილიციის საყურადღებოდ)

თუმცა ვერის რაიონში, მტკვრის ნაპირას „ბალკა“-ში 30 ქურდი შეიპყრეს, მაგრამ მით ქურდობა არ შეწყვეტილა პირიქით, უფრო გახშირდა. სადაც ქურდები შეიპყრეს (კლდის გამოქვაბულში) იქ საეჭვო პირები განაგრძობენ კვლავ ცხოვრებას.

საჭიროა მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება.

ინფ.—ვინმე.

რაშია საქმე?!

თებერვლის 25-ს საზეიმო საღამოზე ტრამვაის დირექციამ და ადგილკომმა კომისიის მიერ წითელ დაფაზე წამოყენებული 11 პატიოსანი მუშის მაგიერ თავის ამორჩეული ხალხი წააყენა, რომელნიც ამ ჯილდოსი ღირსნი არ იყვნენ. რაშია საქმე?

ადგილობრივი მუშა.

ფაბრიკა-ქარხნებში

პირველი თამბაქოს ფაბრიკა

კიდევ ახალი გამოგონება.

აქამდე, გილზის თამბაქოთი დასატენ დაზგაში თამბაქოს ხელით აწვდიან, რაც, ცხადია, არაჰიგიენიურია ერთის მხრით და მასთან მუშის ჯანმრთელობაზე ცუდ გავლენას ახდენს. ეხლა უკვე ფაბრიკის მუშა ა. ხ. მემარნიშვილი იგონებს ახალ საშუალებას, რომლის მეოხებით თამბაქოს მიწოდება დაზგაში იწარმოებს მექანიკური წესით.

ახალი დაზგები

ფაბრიკაში გამოგონილია, პაპიროსების ბოლოების მექანიკურად გადაკვეცა: არის მანქანები ცალმაგი ე. ი. ცალკე დასატენი და ცალკე ბოლოების გადამკვეცი და არიან ორმაგებიც ე. ი. ორივე აღნიშნული მანქანები ერთად. პირველი სახის მანქანები დიდ ადგილს იკავებენ და ამის გამო უკვე მიღებულია ზომები მათი მთლიანად გაორმაგებისათვის, მიცემულია დაკვეთა ოთხი ორმაგი მანქანის დასამზადებლად.

მიწოდების მექანიზაცია

აქამდე დატენილი პაპიროსების გადატანა ჩამწყობ განყოფილებაში სწარმოებდა ხელით, ეხლა უკვე განზრახულია მოაწყონ მექანიკური მიწოდება, ე. ი. დატენილ პაპიროსების შემხვევ-ჩამწყობ განყოფილებაში და დაჭრილ თამბაქოსი საშრობ განყოფილებაში მექანიკურად მიწოდება.

წ.—კ. უცოდინარობა ფაბრიკაში ლიკვიდაციაქმნილად უნდა ჩაითვალოს; თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჰასაკ გადაცილებულ მუშებს, სხვა ყველა წ.-კითხვის მცოდნეა.

ამბულატორია. ფაბრიკასთან არსებობს ამბულატორია, რომელიც უწევს ყოველგვარ დახმარებას მუშებს; აქვეა „**ბაგე ბავშვთათვის**“ **სადაც მუშის შვილები, რომელთა მოვლის საშუალება არ აქვთ მშობლებს, აქ უვლიან ყოველ მხრივ.** ამჟამად ბავშვებს დაემართათ „წითელა“, რის გამოც ისინი დაბრუნებულ არიან მშობლებთან და თვით მშობლებიც მუშაობისაგან განთავისუფლებული არიან დროებით მათ მორჩენამდე და ამბულატორიის სრულ დეზინფექციის გატარებამდე.

ტეხნიკურ გაუმჯობესების გამო ფაბრიკის განყოფილებები გადატანილ-გადმოტანილი იქნებიან ფაბრიკით თავისუფალ მოედნების მიხედვით.

საწარმოო თათბირი ენერგიულად მუშაობს და მისმა მუშაობამ უკვე შესაფერი ნაყოფი გამოიღო.

კულტმუშაობა

ფაბრიკაში გამოდის „რეგულიარულად კედლის გაზეთი თვეში ორჯერ მუშაობს პოლიტ-წრე, არსებობენ საზოგადოებები: ს. ფ. მეგობართა, „რემედასი“, ქიმიის მრეწველთა და ბავშვთა მეგობრების.

ინფ—ტ—კა.

მუშათა ქრონიკა

— **მთავარ ტელეგრაფის კანტორაში** შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით, დაარსდა შრომის ნაყოფიერების ბიურო.

— **სად. საგარეჯოში** 28 მარტს ჩავიდა ვაგონი- სამკითხველო. აუარებელ გლეხების თანდასწრებით ნაჩვენები იქნა კინო-სურათი. გლეხობა კმაყოფილი დარჩა.

— **სად. ნავთლუღის მე 5-ე უბნის მტვირთავ მუშებში** 26 მარტს შესდგა საერთო კრება, რომელზედაც სხვა საკითხთა შორის დასმული იყო საკითხი მუშკორის მნიშვნელობასა და გაზეთის გავრცელების შესახებ.

— **სად. ქუთაისის მტვირთავ მუშებში** 27 მარტს, მოწვეულ იქმნა საერთო კრება ტრაღიკულათ დაღუპულ ამხანაგების, მიასნიკოვის მოგილევსკის, ათარბეგოვის და სხვ. ხსოვნის აღსანიშნავად.

— **საჰაერო ფლოტის მეგობართა უჯრედები.** დუშეთის მაზრაში დაარსებულია საჰაერო ფლოტის მეგობართა ათი უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 300-ის მშრომელი გლეხკაცობა.

— **შუამდგომლობა.** ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სახალ. განათლების წინაშე ფეიქარ მუშებისათვის პროფტეხნიკურ კურსების დაარსების შესახებ.

მუშკორი—მხილებელი.

ხელოვნება

წარმოდგენა ნინო ჩხეიძის კატივსაცემათ

2 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში დამსახურებულ მსახიობ ნინო ჩხეიძის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ გამართულ იყო საგანგებო წარმოდგენა. დასდგეს ჩხეიძის როლისთვის საგანგებოთ შერჩეული ძველი პიესა „მედეა“.

ამნაირ შემთხვევაში როგორც სჩვევია ქართველ საზოგადოებას, ყოველთვის განსაკუთრებულ გულითადობას იჩენს ხოლმე. ამ დღესაც თეატრის დარბაზი საგანგებოთ იყო გაჭედილი.

ცხადია, საზოგადოებას სრულიად არ ეინტერესებოდა მოძველებულ და უსიცოცხლო დიალოგებით გაჭიანურებულ პიესის ნახვა, არამედ უნდოდა საგანგებოთ გამოეხატა პატივისცემა ჩვენი თეატრის გალერეის ერთ-ერთ დამამშვენებელისადმი.

მსახიობის გამოჩენას სცენაზე დიდის აღფრთოვანებით შეეგება მთელი დარბაზი.

მეორე მოქმედების შემდეგ მსახიობს გაუმართეს პატივისცემა: საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს და განათლების სახ. კომისარიატის სახელით მიესალმა ამხ. იოსებ გედევანიშვილი. მსახიობის დამსახურების აღსანიშნავად მას ენიჭება „სახალხო მსახიობის“ წოდება. ერთდროულ დახმარებათ ეძლევა 500 მანეთი და ამასთანავე მუდმივი პენსია უმაღლესი კატეგორიასა.

შემდეგ მიულოცეს თვით მსახიობებმა და ხელოვანთა კავშირმა.

მთელი საღამო ატარებდა შინაურულ ხასიათს და არ იყო დატვირთული ოფიციალურ ქება-დიდებით, რითაც უკვე საკმაოთ არის დაღალული მთელი ჩვენი საზოგადოება.

ლელი.

— **„პროლემაფ“.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტის კრებული „პროლემაფ.“ შინაარსი: 1. პროლემაფ—პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი, 2. კარლო კალაძე (კაკი ეწრელი)—სოფელი დილამდე, 3. კონსტანტინე ლორთქიფანიძე, 1 თემა მეორე, 2. ნეპმან, 3. არსენა, 4. კალე ფეოდოსიშვილი—ელექტროფიკაცია, 5. ბენიტო ბუაჩიძე (ნიაგარელი)—სადღეგძელო ფურცელი, 6. გ. ზესოშვილი—მქსოველი ქალი, 7. ელიზბარ გუგუნავა (პოლუმორდვინოვი)—კედლების შიგნით, 8. უ. მდივანი—სადარაჯო, 9 თამარ ჩხარეული—სოფლის პიონერი, 10 დავით რონდელი—1. ჭიათურა, 2. ქალაქის და სოფლის შესახებ, 11 კარლო კალაძე—ჩვენ, 12 ელიზბარ გუგუნავა—სიცოცხლე ცეცხლში, 13 კარლო კალაძე—ტრაღედია ოხ! 14 შალვა რადიანი (შეწირული)—მკვლელების საუბარი, 15 დავით რონდელი—დეკადანსის საზღვრებთან, 16. ბენიტო ბუაჩიძე—„ცისფერი ყანწები“, 17. პლატონ ქიქოძე 1. ქარხნის პოეტები. რომლებმაც ვერ ნახეს ქარხანა, 2. დემოსის პოეტები. კრებული შეიცავს 200 გვერდს. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 1 მან. 50 კაპ.

— **ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები.** პოეტმა ი. გრიშაშვილმა გამოსაცემად დაამზადა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები საკუთარი რედაქციით და წინასიტყვაობით.

— **მუშა-მწერალთა გაერთიანების გამგეობის სხდომა** დანიშნულია შაბათს, სალ. 5 ს. გაზ. „პროლეტაფის“ რედაქციაში („კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში). კრებას უნდა დაესწრონ: 1. შ. ნავთლუღელი, 2. გ. შინატეხელი, 3. შ. ტალიკაძე, 4. ხებრელაშვილი, 5. ნ. ზომლეთელი, 6. პ. ქიქოძე, 7. ი. სულაძე და 8. მუშფაკის პროლემაფის უჯრედის წარმომადგენელი.

— **ჟურნალი „ახალი კავკასიონი“.** გამოვიდა და იყიდება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი „ახალი კავკასიონი“ № 1—2. ჟურნალი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: 1. მხატვრული ლიტერატურა (საქართველო და უცხოეთი); 2. ხელოვნება, 3. მეცნიერება და ფილოსოფია; 4. მემუარები და დოკუმენტები, 5. ბიბლიოგრაფია. ჟურნალში მოთავსებულია 36 ავტორის ნაწარმოები და შეიცავს 410 გვერდს.

— **„დაისი“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

— **მოზჟუხინის** მესამე გასტროლი გაიმართება ხვალ. წარმოდგენილი იქნება „სეველიელი დალაქი“.

— **ს. ბარერის კონცერტი.** ხვალ განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება ცნობილი პიანისტის ს. ბარერის კონცერტი.

— **ი. დამინსკაიას გასტროლი.** დღეს ახალ თეატრში ი. დამინსკაიას გასტროლი ახალი პროგრამით.

— **აკადემიური დრამის სეზონის დახურვა.** დღეს რუსთაველის თეატრში სეზონის დასრულებისა და თეატრის მუშათა საიუბილეოდ წარმოდგენილი იქნება: „მზის დაბნელება“.

— **ცირკში** დღეს წარმოდგენა ძმ. ტანტების მონაწილეობით. ფრანგული ჭიდაობა.

— **ა. რეშიმოვას და მ. ლედნიკის** კონცერტი გაიმართება 6 აპრილს კონსერვატორიაში.

დღეს კინოებში

— არფასტო—„ჰაერის გმირი“.
— მინიონ—„მუცლის მოშლა“.
— თვითმფრინავი—„ცხოვრების საქანელა“.
— აპოლო—„ნაპოლეონის შიკრიკი“
— პალასი—„სობეიდას ცოლი“.
— აისი—„ვენეციის ლომები“.
— სოლეი „მუცლის მოშლა“.
— ოაზის—„მხეცებსა და ცეცხლს შორის“.

შემთხვევები

— **ბანდიტების შეპყრობა.** 29 მარტს დღისით ნინო ტატიშვილს მცხოვრებ სოფ. ბენწეწურაში (ერწოს რაიონი), როდესაც სხვებთან ერთად ტყეში კრეფდა ღანძილს, თავს დაესხა 5 ბოროტ-მოქმედი და ძალით გაიტაცეს. მიღებულ ზომებით ბოროტ-მოქმედნი შეპყრობილი იქნენ. მათი ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

— **დაჭრა.** 2 აპრილს ღამის 2 საათზე ახვერდიევის მამულში მე-2 სამილიციო რაიონი მიხეილ დათაშვილმა ოჯახურ უთანხმოების ნიადაგზე მსუბუქად დასჭრა მუცელში თავისი ცოლი პელაგია.

— **ქურდობა.** 1 აპრილს ღამით მე-7 ფერმო-ავლაბრის ქ. № 3 გაქურდულ იქნა ივანე ოგანოვის ბინა, საიდანაც წაღებულია 437 მან. ნივთები.

2 აპრილს ღამით დიდი ვანქის ქ. № 21 ბოქლომის გატეხის საშვალებით გაქურდული იქნა დავით ჭანდაკაშვილის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები 150 მან.

პროვინციაში

სოფ. კოტიანეთი

(სენაკის მაზრა)

ეს სოფელი ძველ-სენაკის თემში შედის. მცხოვრებთა რიცხვი სულ 150 კომლამდის აღწევს.

ამ სოფელში გასაბჭოების შემდეგ მეურნეობას დიდათ დაეტყო გამოცოცხლება.

პატარა სოფელში 1922 წლის ბოლოში გლეხკაცობის, როგორც პარტიულებს და უპარტიოს მუშაობით აშენდა სახალხო სახლისათვის შესაფერისი შენობა, რომელიც დაასრულეს 1923 წლის მიწურულში.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სოფელში იყო 4 წლ. შრომის სკოლისთვის 4 თვალიანი ხის სახლი, რომელიც დღეს არის დამპალი და გამოუსადეგარი, ამიტომ იძულებული იყო გლეხობა გაეკეთებინათ ახალი ქვის შენობა, რაც მოითხოვს დიდ თანხას. მუშაობა უკვე დაწყებულია და დახმარებას მოველით მაზრის განათლების ინსპექციიდან რათა მოზადი თაობა ასცდეს ხიფათს.

ალ. სალკველი.

ს. კვაჭალათი

(ლანჩხუთის თემი)

(გ უ რ ი ა)

ს. კვაჭალათი ლიხაურის თემის ყველაზედ მოზრდილი სოფელია როგორც სივრცით, აგრედვე მცხოვრებთა რაოდენობის მხრივაც.

აქ ითვლება დაახლოებით 150-მდე კომლი. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით მას ჩამოუდის აჭარა-გურიის მთის კალთებიდან გადმომდინარე მდ. აჭის-წყალი მდინარეს დაჰყვება ფართე ჭალები—ქვარნალი.

მდებარეობის მხრით ის წარმოადგენს ვაკეს, დაბლობს...

კულტურულათ ის თემის სხვა სოფლებზე საგრძნობ ჩამორჩენილია. არ არსებობს არავითარი კულტ. დაწესებულება. სოფელი მოკლებულია ისეთ აუცილებელ პირველ მოთხოვნილების კულტურულ დაწესებულებებს, როგორიცაა მაგალითად: სკოლა, წიგნთ-საცავი, ქოხ-სამკითხველო, სახალხო სახლი და სხვა.

ამ ხანათ ადგილობრივ მშრომელი გლეხკაცობის უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება, ვინაიდან ხალხი დიდათ მოწყურებულია სწავლა-განათლებას.

აუცილებელია აგრეთვე სახ. სახლის დაარსება, სადაც შესაძლო იქნება კრებების მოწვევა, საღამო-წარმოდგენების გაშვება და სხვა. აქ სხვა მრავალ საჭირბოროტო საზრუნავ საქმეთა შორის (როგორიცაა მაგ.: ხიდ-ბოგირების, გზა-ტკეცილების გაყვანა და სხვა) ყველაზედ სერიოზული და მნიშვნელოვანია მდინარის საშიშროებისაგან სოფლის დაცვის საქმის მოგვარება.

მდ. აჭის-წყალი—რომელიც მას ჩამოუდის,—ადიდებისას დიდ განსაცდელში აგდებს მხარეს; გადმოდის კალაპოტიდან, იჭრება სოფელში და იჭერს ვაკე ადგილების საკმაოდ ვრცელ მოედანს. მდინაოს ადიდების შემთხვევაში, მოსალოდნელია სრულიად აიქციოს გზა და სოფლის ნახევარი საშინელ საფთხის წინაშე დააყენოს, რასაც ადგილი ჰქონდა რამოდენიმე წლის წინ, როცა მდინარემ რამოდენიმე ოჯახი და მრავალი ადგილები იმსხვერპლა.

მდინარე თანდათან სოფლის სიღრმისაკენ მიიწევს.

განსაკუთრებული სიძლიერით ის უტევს ივ. დონაძის ეზოს მახლობლად, სადაც უნდა გაკეთდეს (რაც შეიძლება ახლოს) მტკიცე დამბები, ჯებირები.

საჭიროა საქმის სპეციალისტი. დრო დაყოვნებას არ ითმენს. მდინარისაგან სოფლის საშიშროებისაგან თავის დაზღვევა მოითხოვს საქმისადმი დროულ, ჯეროვან ყურადღების მიქცევას.

კარდონი.

პროვინციის ქრონიკა

— **მალიარია.** 6 თვის განმავლობაში ბათომის მაზრის საექიმო პუნქტებში აღრიცხული იქნა 2884 ციებცხელებიანი.

— **აბანო სოფლად.** სოფ. უდეში (ახალციხის მაზრა) გლეხები შეუდგა აბანოს აგებას.

— **სოფ. კაგთისხევსა და ხაშურში** სამაზრო აღმასკომის დადგენილებით ახლო ხანში გაიხსნება საკრედიტო ამხანაგობანი.

— **ახალი აგარაკი.** ასპინძის გლეხკომმა გადასწყვიტა მოაწყოს ასპინძაში მინერალურ წყლებთან აგარაკი (ახალციხის მაზრაშია)

— **გზის გაყვანა.** სოფ. ურაველის გლეხებმა გადასწყვიტეს კარგი დარების დადგომისთანავე შეუდგენ ე. წ. სატალახევის საურმე გზის გაყვანას.

— **გორის აღმასკომმა** გამოსცა სავალდებულო დადგენილება მაზრაში სანიტარული (სისუფთავის) დასაცავად.

— **საექიმო პუნქტები.** სოფ. ურბნისში, ატენში, ახალ სოფელში და ზემო გოსტიმში, გორის აღმასკომის თაოსნობით იხსნება საექიმო დახმარების პუნქტები.

— **სანიმუშო თემები.** თბ. მაზრაში სანიმუშო თემებათ ითვლებიან მანგლისის და საგარეჯოს თემები. ეს თემები დაჯილდოვებული იქნებიან რადიო მიმღები სადგურებით.

— **ოზურგეთში** გაიხსნა შინა-მრეწველობის სადგური.

— **ბაზრობა.** ა/წ. აპრილის 3-დან სოფ. აკურის და ვანთის საზღვარზე შარა გზის პირად იხსნება ბაზრობა (იარმუკა). ბაზრობა იქნება ყოველთვის პარასკეობით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება № 35

ქ. თბილისი, 1925 წ. „5“ მარტი.

§ 1

ცხადდება ყველა მოქალაქეთა და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომელთაც აქვთ იარაღი თავისი თანამშრომლებისათვის მისაწოდებლად სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს (მოლარეები, „არტელჩიკები“, კონტროლიორები და აგენტები, რომელთაც მიაქვთ ძვირფასი ნივთები და სხვა), რომ ა. | წ. 1 მარტამდი გაცემული ყველა მოწმობები იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისიის და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ გაუქმებულად არის გამოცხადებული.

§ 2

ყველა უპარტიო მოქალაქეები გამოუკლებლად და აგრეთვე პარაგრ. 1-ში ჩამოთვლილი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ ტყვიის მტყორცნელი იარაღი, ვალდებულნი არიან იქონიონ საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოს მოწმობა მისი ტარებისა და შენახვის შესახებ.

§ 3

მოწმობებს ტყვიის მტყორცნელი იარაღის და მისი ვაზნების შეძენის ტარებისა და შენახვის შესახებ აძლევენ: თბილისში და მის მაზრაში—საქართველოს საგანგებო კომისია, მაზრებში—სათანადო პოლიტბიუროები, საინფორმაციო პუნქტები და საქართველოს საგანგებო კომისიის სამაზრო რწმუნებული.

§ 4

ამ ბრძანების პარაგრ. 3-ში ჩამოთვლილ ორგანოებში შეტანილ განცხადებებს დაკრული უნდა ჰქონდეს სადერბო და საკანცელარიო მარკები: კერძო მოქალაქეებმა უნდა დააკრან 2 მანეთის მარკა, დაწესებულებებმა—25 კ.

შენიშვნა: განცხადებებზე დასაკრავი სადერბო და საკანცელარიო მარკების მიღება შეიძლება ზემოჩამოთვლილ ორგანოებში.

§ 5

იარაღის რეგისტრაცია და ნებართვის გაცემა მისი ტარებისა და შენახვის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ამ დადგენილების გამოცემის მომენტიდან და თავდება 1925 წლის 1 მაისს.

§ 6

პარაგრ. 1-ში ჩამოთვლილი მოქალაქეები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრაციაში არ გაატარებენ მათ განკარგულებაში მყოფ ტყვიის მტყორცნელ იარაღს, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში კანონის მთელი სიმკაცრით იარაღის დამალვისათვის.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **კვანტალიანი.**

საქართველოს საგანგებო კომისიის საერთო-ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი **სტანსკი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 4 აპრილს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

— დღეს, 4 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება პროლეტკულტის საღამო. შესვლა შეუძლიათ პარტიის წევრებს და მათი ოჯახის წევრებს.

კლუბის გამგეობა

— კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ კვირას, 5 აპრილს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში დანიშნულია პოლიტშკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

დასწრება ყველა ხელმძღვანელების სავალდებულოა დაუგვიანებლად.

განცხადებები

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება ახალი წიგნი ზინოვიევის სახელობის პრაქტიკულ საანგარიშო კურსების მასწავლებლის **ი. მ. გალპერინის**

„საბალანსო-მეტყველების საფუძველი“

კონსპექტიური კურსი ზოგადი ანგარიშ-მეტყველების თეორიის, მეორე შესწორებული გამოცემა (კონსპექტი ზოგადი ანგარიშ-მეტყველების თეორიის) ნ. 1028 5—3

მეუღლე დაშა დავითის ასული; შვილები: ირაკლი და გულიადა; დები: ნოტიო და დესპინე ბახვას ასულნი; რძალი ელისაბედი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას 5 მარტს, 12 საათზე ხელოვანთა სასაფლაოზე (ვერა) დანიშნულია 6 თვის თავი მათი ძვირფასი

ძუკუ ბახვას ძე ლოლუას

მოსაგონებლად. 836 2—2

სპირიდონ გიორგის ძე ლოლუა მეუღლითურთ; ანასტასი, შვილები შალვა, გოგუცა, ნინა და დუშა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას 5 მარტს 12 საათზე ხელოვანთა სასაფლაოზე (ვერა) დანიშნულია 6 თვის თავი პირველისა და მეორის ძვირფასი ბიძაშვილის, ცნარჩენის დაუვიწყარი ბიძიას—სახალხო ლოტბარის

ძუკუ ბახვას ძე ლოლუას

874 მოსაგონებლად. 1—1

თამარ და პაოლო იაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის ძვირფასი

მიხეილ იაგორისძის გეგიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 5 აპრილს ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. დილის 10 საათზე.

სოფიო პავლეს ასული გეგიძე და ლეონიდ სიმონის ძე ქიქოძის ოჯახი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1925 წლის 2 აპრილს ღამით გარდაიცვალა პირველის ქმარი და მეორეთა ბიძა

მიხეილ იაგორის ძე გეგიძე

პანაშვიდი განსვენებულის ბინაზე, ვერის დაღმართი № 5, შაბათს 4 აპრილს, საღამოს 7 საათზე. ცხედარს კვირას, 5 აპრილს, დილის 10 სათზე წაასვენებენ ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება იქვე პანაშვიდის შემდეგ.

2—1 848

რუსთაველის თეატრი შაბათს, 4 აპრილს

სეზონის დახურვა

თეატრის მუშების იუბილე

„მზის დაბნელება საქართველოში“

დადგმა კ. მარჯანიშვილის

1054 2—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 4 აპრილს

დაისი

ნ. 1062. 1—1

მცირე თეატრი (რუსთაველის თეატრის პირდაპირ) **ორშაბათს, აპრილის 6**

ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრება“-ს** თაოსნობით

აკაკის გარდაცვალებიდან 10 წ. (1915—25) შესრულების აღსანიშნავად მწერალთა და ხელოვანთა თანდასწრებით გაიმართება **დიდი სალიტერატურო-სამუსიკო საღამო**

რომლის მთელი შემოსავალი მოხმარდება აკაკის სამარის აღდგენა-გამშვენიერებას

მთელი შემოსავალი მოხმარდება აკაკის საფლავის გამშვენიერებას.

შინაარსი:

1 სიტყვა. მოგონებანი. წარმოდგენა. ლექსები. 2 აკაკი—ქართულ ეროვნულ მუსიკაში. 3 აკაკი—ხალხურ მუსიკაში. 4 ინსცენიროვკა, მელოდეკლამაცია, აპოთეოზი.

მონაწილენი: (ანბანთა რიგზე): ანდრონიკაშვილი ქეთო, ბარნოვი ვასილ, გვათუა-ებრალიძე, გუგული, დავითაშვილი გ. (აკად. დრამის მსახიობი), დანიელა ჟურია (და ძმ. კრავეიშვილები), ელიაშვილი ივ., ერისთავი კოლა, ვაკელი იონა, ვენაძე გ., დები თარხნიშვილები, მამაცაშვილი ელენე, ოლანეზაშვილი ალ., კაშალიშვილი ს., ქუმსიაშვილი ნ., ქუჩიშვილი გ., ქიქინაძე კ., საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიური ორკესტრი, აღმოსავლური მუსიკოსნი—მედუდუკეთა კოლექტივის გუნდი (30 კაცი) და საზანდარი—აშუღების დასტა.

„თამარ ცბიერი“ 2 მოქ. ანდრონიკაშვილის და გ. დავითაშვილის მონაწილეობით.

ბილეთები იყიდება „თეატრი და ცხ.“ რედაქციაში (რუსთაველის ქ. № 34, დილის 9 საათიდან საღამოს 8 ს.-დე), საღამოს დღეს—თეატრის სალაროში.

გამგე „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია, პასუხისმგებელი **იოსებ იმედაშვილი.**

ნის. 1059. 2—1

სახელმწიფო

საბუღალტრო კურსებზე

(ყოფ. პ. ზუბაძისა და ინწკირველისა)

ახალ მსმენელების მეცადინეობა დაიწყება 10 აპრილს. კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე (გარდა კვირა-უქმე დღეებისა) 1) **განათლების კომისარიატში** (ოთახი 5) 1—2 საათამდე, 2) **კურსების ბინაზე** საღამოს 5—7 საათამდე. (ყოფილი ქალთა პირველ გიმნაზიის შენობა, კეცხოველის ქუჩა, № 12).

კურსების გამგე
მ. თაქთაქიშვილი

№ 818 3—2

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის

სახელმწიფო ცხენთსაშენის

განყოფილება ამით აცხადებს, რომ მის მიერ თბილისის საჯინიბოს შენობაში (ელისაბედის ქუჩა № 198) ა | წ. აპრილის 5-ს, დღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საჯიშოებისათვის უვარგისად ცნობილ ცხენების გასაყიდად.

1—1 ნ. 1063

საფლავების [illegible]

ვერის, კუკიის და პეტრე-პავლეს სასაფლაოებზე სწარმოებს პირველ მაისამდის.

[illegible] მიღება შეიძლება სასაფლაოებზე არსებულ კანტორაში.

4—2

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი ე. ნ. ჩუბინიძე

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.
25—7 საღამოს—5—6 საათ.

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ **გაზ. „კომუნისტი“-ს** მთავარ კანტორაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).

678 5—1. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—16

ლუდი პ. ფულიდის

ანდრეევის ქ. № 41

ა. წ. 1 აპრილს გამოშვებული იქნა ბაზარზე საუკეთესო

მარტის ლუდი საკუთარი წარმოების, ყოველგვარ კონკურენციის გარეშე. ვიძლევი სისუფთავის და გარგი თვისების გარანტიას.

ნ. 1058 0—1. პატივისცემით **პ. ფულიდი.**

ა.-კავკ. რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 6 აპრილიდან 11 აპრილამდი (ამ რიცხვის ჩათვლით), დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა, რკინისგზის ხაზის ახლოს), მოხდება ამიერ-კავკასიის რკინისგზების სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავ ტვირთების და ბარგის

გაყიდვა აუქციონის წესით

მეორე საჯარო ვაჭრობა იმ ტვირთებზე, რომლებიც გაუყიდავი დარჩება, შესდგება იქვე 13-დან 17 აპრილამდი (ამ რიცხვის ჩათვლით). ქვევით აღნიშნულია „ნაკლადნოის“ ნომრები, რა სახის ტვირთია, რამდენი ნაჭერია და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში მუშაობის დროს, საჯარო ვაჭრობის დღეს კი, ასეთების დაწყების წინ.

1. მოუკითხავი ტვირთები:

№ 254723—ლიტერატურა, 3 ყ. 17 ფ. 21 გირ., № 814617—ავტომობილის სახურავები, 27 ც., № 6834, ალიუმინის კოვზები—552 ც., 2463—საბოსტნე თესლეულობა, 35 ნაჭერი, 89 ფ. 20 გ., № 65194—მანუფაქტურა, 1 ნ.—6 ფ. 9 გ., № 33477—რკინის ბოჭკა, 1 ცალი—5 ფუთი 35 გირ., № 42250—უბრალო საპონი 1 ყ., 1 ფ. 1 გირ., № 1736—ხმელი თევზი ტომარაში, 1 ცალი № 27232—რკინის ბოჭკა, 1 ც. 5 ფ., № 289180—მანქანის ღაზგა, 1 ც. 1 ფ. 38 გ., № 8403—საოჯახო ნივთები, 13 ც., № 34968—რკინეულობა, 2 ც. 2 ფ. 10 გ., № 33933—ძველი გაზეთები, 1 ც. 15 გ., № 60512—წიგნები, 1 ც. 24 გ., № 165—ცხენის ტყავი, 3 ც. 17 გ., № 53166—ტანისამოსი, 10 ც. 55 ფ. 35 გ., № 75898—ცარიელი ხის ბოჭკები, 3 ც. 13 ფ. 6 გ., № 127663—საოჯახო ნივთები, 3 ც., 11 ფ. 29 გ., № 64539—წამლის შუშები, 1 ყ. 35 გირ., № 3506—ხის ბოჭკები, 1 ცალი, 28 გირვანქა, № 49370—ცარიელი ბოჭკები, 6 ც. 18 ფ. 10 გ., № 22965—ცარიელი ყუთები, 2 ც. 2 ფ. 10 გ., №22582—ცარიელი ყუთები, 3 ყ. 3 ფ. 15 გ., № 22938—ცარიელი ხის ყუთები, 12 ც. 7 ფ., № 59811—ლიტერატურა, 1 ც. 5 გ., № 890—პურის ფქვილი, 1 ცალი 2 ფუთი 10 გირ., № 129309—ხმელი 4 ცალი 2 ფუთი № 52239—სამხედრო-სასწავლო წიგნები, 1 ც. 1 ფ. 28 გ., № 40448—საოჯახო ნივთები, 1 ც. 2 ფ. 17 გ., № 6988, „ობიჩკები“, 50 სვ. 68 ფ., № 802—ცარიელი კალათები, 1 ც. 37 ფ., № 14379—ცარიელი კალათები, 8 ც. 5 ფ. 30 გ., № 50390—ცინკის მავთულები, 1 ცალ. 2 ფუთი, № 27434—ყველი, 2 ც. 4 ფ. 10 გ., № 308444—ხორბალი, 3 ც. 9 ფ. 31 გ., № 184952—გატეხილი ყუთები, 32 ც. 38 გ., № 1987—ცარიელი ყუთები, 1 ც. 38 გ., № 231509—ბილიარდის მაგიდა, 6 ც. 22 ფ. 23 გ., № 3265—ღვინის სიმჟავე, 6 ყ. 6 ფ. 37 გ., № 94915—ცარიელი ტომრები, 40 ც. 42 ფ. 03 გ., № 94893—ცარიელი ტომრები, 70 ცალი 84 ფუთი 23 გ., № 2596—უბრალო საპონი, 89 ცალი, 87 ფუთი 30 გირვანქა, № 25342—ბრომშიურები 1 ცალი, 2 ფუთი 11 გირვანქა., № 67768—თევზები 5 ყ., 16 ფ. 22 გ., № 67765—თევზები 5 ყ. 16 ფ. 21 გ., № 147335—ქვა-მარილი 1.000 ფ., № 37245—ქვები 8 ც. 195 ფ. 15 გ., № 85292—საქონელი 1 ყ., 3 ფ. 26 გ., № 61046—დაბეჭდილი ბლანკები, 54 კილ., № 67766—შპროტი, 3 ყ. 9 ფ. 24 გირ., № 34236—ფიცრები, № 68759 ყუთები, 3 ფ. 5 გ., № 18961—მარილი, 1 ვაგ., 940 ფ., № 18445, ბამბის თესლი, 1 ვაგ., 945 ფ. 30 გ. (15,5 ტონი).

2. მოუკითხავი ბარგი:

№ 13—სპირტი, 2 ბ. 1 ფ. 12 გ., № 19112—წიგნების ფურცლები, 1 ც. 3 ფ., № 2677—ტელეფონის აპარატი, 1 ყ., 1 ფ. 23 გ., № 258707—გაზეთები, 1 ც. 3 გ., № 413147—ლიტერატურა, 1 შეკვრა, 10 გ., № 412758—ლიტერატურა, 1 ც. 23 გ., № 412695—ლიტერატურა 1 ც. 29 გ., № 81925—დასაკეცი სკამი, 1 ც. 12 გ., № 126874—ტახტი, 1 ც. 1 ფ., № 138568—„ბოლლო“-ს საპონი, 1 ყ. 4 ფ., № 160008—ბარგი, 1 ც. 1 ფ. 15 გ., № 23613—მექანიკური სამჭედლო, 1 ც. 35 გ., № 56402—გაზეთები, 1 შ., № 70283—ბარგი, 1 ც. 2 ფ. 25 გ., № 23410—ბარგი, 2 ც. 5 ფ. 25 გ., № 106736—ბარგი, 1 ყ. 1 ფ. 35 გ., № 71376—ცარიელი ყუთები, 2 ც. 1 ფ. 5 გ., № 24670—ბარგი, 2 ც. 10 ფ. 5 გ., № 97818—ბარგი, 1 ც. 1 ფ. 18 გ, № 64946—სურგუჩი, 1 ც. 4 ფ. 2 გ., № 50807—ცარიელი ყუთები, 3 ც. 35 გ., № 73081—ცარიელი ყუთები, 1 ც. 2 ფ. 20 გ., № 50646—ცარიელი ყუთები, 6 ც., 4 ფ. 20 გ., № 39263—ცარიელი ყუთები, 3 ც. 2 ფ. 30 გ., № 31605—სხვადასხვა ნივთები, 3 ც. 3 ფ., № 50685—ბარგი, 3 ც., 1 ფ., № 111945—ბარგი 1 ც. 2 ფ., № 93320—ბარგი, 6 ც., 5 ფ. 10 გ., № 93039—ცარიელი ხის ბოჭკები, 1 ც. 2 ფ. 5 გ., № 48731—ბარგი 1 ც. 1 ფ. 30 გ., № 9356—ბარგი, 1 ც. 1 ფ. 21 გ., № 107287—ცარიელი ყუთები, 2 ც. 2 ფ., № 68854—გაზეთები, 1 ც. 35 გ., № 215487—ბარგი 3 ც. 18 გ., № 10721—ბარგი, 1 ც. 24 გ., № 81135—ბარგი, 1 ც. 35 გ., № 183223—ბარგი 1 ც. 1 ფ. № 194036—ყველი 1 ც. 31 გ., № 113392—რკინეულობა 1 ც. 1 ფ. 35 გ., № 254318—მარილი 1 ც. 2 ფ. 20 გ., № 1330—ბარგი, 1 ც. 2 ფ., № 5230—ბარგი, 1 ც. 3 ფ. 15 გ., № 415983—ბარგი 1 ც. 2 გ., № 165093—ბარგი 1 ც. 2 ფ., № 107858—ბარგი 1 ც. 3 ფ. 20 გ.

3. უდოკუმენტო ტვირთები.

№ 32—ქესტის ლუმელი, 5 ც. 31 გ., № 4362—პილპილი—1 ც. 1 ფ. 15 გ., № 402—რკინეულობა, 11 ც. 23 ფ. 30 გ., № 14—საოჯახო ნივთები, 1 ც. 39 გ., № 18—რკინა, 1 ც. 36 გ., № 106—დაფქვილი ყავა, 1 ც. 2 კილოგ., № 412—გატეხილი ბოთლები, 1 ც. 12 გ., № 15450—სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 20 გ., №—9 ბარგი, 5 ც. 3 ფ., № 123 სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 12 კილოგ., № 3—თუჯის ნამტვრევები, 5 ც. 55 ფ., № 466—სხვადასხვა ნივთები—6 ც. 2 ფ. 5 გ., № 151—სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 22 ნახ. გ., № 159—საზამთრო საბანი, 1 ც., № 160—კალოშები 1 წყვილი, № 161—ხურჯინი, 1 ც., № 162—სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 7 კილ., № 27—თამბაქო. 3 ც. 3 ფ. 25 გ., № 185—სხვადასხვა, 1 ც. 32 ნახ. გ., № 186—სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 37 ნახ. გ., № 187—სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 20 გ., № 217—სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 4 გ., № 681—სხვადასხვა 2 ც. 2 ფ. 32 გ., № 205—სხვადასხვა, 1 ც., 6 ნახევარი კილ., №206—გიტარა, 1 ც., № 682, რკინის ჯოლი, 1 ც., № 424—ასანთი—5 ყ. 9 ფ. 5 გ., № 22—სხვადასხვა ნივთები, 1 ც. 34 გ., №42—ბარგი, 1 ც. 1 ფ. 30 გ., № 283—ბარგი, 1 ც. 18 კილ., № 236—საწოლი 1 ც. 1 ფ. 20 გ., № 231—პურის ფქვილი, 1 ც. 24 კილ. № 40723—ქიშმიში, 1 ც. 2 ფ. 35 გ., № 222—სათამაშოები, 1 ყ. 34 გ., № 3—რკინეულობა, 1 ც. 3 ფ. 20 გ., № 793—წიგნები, 1 ც. 17. კილოგრამი.

ნ. 1056 1—1.

კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი“

აცნობებს სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერაციას და კერძო მომხმარებელთ, **რომ სადღესასწაულო** შეკვეთის შესახებ უნდა აცნობონ საზოგადოებას

ა. წ. 10 აპრილამდე

წინააღმდეგ შემთხვევაში დიდძალ შეკვეთათა გამო, საზოგადოება იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას არა თავის დროზე მიწოდებისათვის

ნ. 1057 1—1. გამგეობა.

„კომუნისტი“-ს

წლიურ ხელისმომწერთა საყურადღებოთ

შეპირებული პრემია: ვ. ჯავახიშვილის თხზულება

„კვაჭი კვაჭანტირაძე“

რომელიც გამოვიდა დღეს „წითელი კავკასიონი“-ს გამოცემაში

ამ დღეებში დაურიგდება ჩვენ წლიურ ხელისმომწერთ.

დაურიგდა „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთ უფასო დამატებანი „მეცნიერება და ტეხნიკა“ № 6 და „ჩირაღდანი“ № 6

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი:

„ჩვენი აღმშენებლობა“

ორგანო თბილისის მ | გ. და წ. ა. დეპუტატების საბჭოსი.

ჟურნალი ამა წლის აპრილიდან ყოველ თვე გამოვა

ცალკე ნომრის ფასი—80 კაპ.

ხელის მოწერის დროს თუ ჟურნალი სამი თვით მაინც იქნება დაკვეთილი, ეღირება 65—კაპ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: ა. წერეთლის ქუჩა (ყოფ. განოვისა) № 4, ოთახი № 31.

2—1 ნის. 1055

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—14

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორ“-ს პირდაპირ. № 3203. 25—23

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

182 25—22.

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სისივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—2

ექიმი

მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—14

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი

თუხარელისა

კბილის და ღვიძლის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—4

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასულ ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. მებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—2

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოების გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—1

დაკარგვე პირადობის მოწმობა მიცემული შუშის მოლ[illegible] ის უფროსისაგან № 1814 [illegible] ტამ ზადეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 856

დაკარგვე პირადობის მოწმობა მიცემული შუშის მოლ[illegible] ის უფროსიდან № 1501 მამედა [illegible] ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 855

დაკარგვე კომუნალური მეურნეობის კავშირის [illegible] ტრამვაის ხაზებზე, მიმოსვლის [illegible] რათო წიგნაკი და ჯარში [illegible] სტრაციის ბარათი და სხვადასხვა [illegible] ბები, ვასილ შერმადინოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 854

დაკარგვე დამხლეგვე სადარაჯო [illegible] ნაკი მოცემული [illegible] ზესტაფონის პუნქტიდან № 356, [illegible] ორგის ძე გოგრიჭიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 853

დაკარგვე პირადობის მოწმობა [illegible] ვარ მილიციიდან ივანე გრიგოლის [illegible] ოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 850

დაკარგვე პარტიული [illegible] დამხლეგვე [illegible] № 491594 [illegible] და კავშირის წიგნაკი [illegible] № 30100, № 6919 რ. [illegible] ჩაითვ. გაუქმებულად. 1—1 851

დაკარგვე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი გ. [illegible] სახელზე ჩაითვალოს გაუქმ. 1—1 852

დაკარგვე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის [illegible] თი სიღნაღის აღმასკომის მიერ მოცემული კირილე იაკობისძე ნადირაშვილის სახელზე ჩაითვ. გაუქმ. 1—1 849

დაკარგვე ატესტატი № 209 [illegible] უბნიდან შალვა იაკობის ძე მაჭავარიანის სახელზე. ჩაითვ. გაუქმ. 1—1 847

დაკარგვე ყოველგვარი პირადობის საბუთები [illegible] ბედ ლეონის ასულის დავითაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 846

დაკარგვე პირადობის მოწმობა [illegible] მეთო—გლეხთა [illegible] ისაგან მოცემული, მასთან ერთად [illegible] თბილისის ხაზინის მიერ მოცემული № 7665 ილია გრიგოლის ძე ყიფიანის სახელზე ჩაითვალოს გაუქმ. 1—1 845

დაკარგვე მეტრიკა შვილის № 348 [illegible] ჩემი პასპორტი № 911 პირადობის მოწმობა და ატესტატი [illegible] ნაზე მუშაობის, გათავისუფლების ნინო კვაჭაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 844